# ლელო

№205 (12 275) **31** აგვისტო პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი **50 თეთრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# რაპიდმა დინამო რვა ნაწილად დაშალა

30 აგვისტო, ვენა, გერჰარდ ჰანაპი.
12 500 მაყურებელი

| რაპიდი–დინამო | 5:0 |
|---|---|

(პირველი მატჩი 3:0)

1:0 ბაზინა (30), 2:0 ბილიჩი (54. ჰოფმანის პასით), 3:0 ჰოფმანი (60 ჰოფერის პასით), 4:0 კაფლაკი (74), 5:0 ჰოფმანი (76. პენ.).

გამოუყენებელი პენალტი: მერებაშვილი (90. მეკარე)

რაპიდი: პაიერი, ჰიდენი, პატოჩკა (57. ედერი), ბილიჩი, ჰაიკინენი, ჰოფმანი, ბაზინა, კატცერი, კაფლაკი, დობერი, ბოშკოვიჩი (57. ჰოფერი).

დინამო: ლორია, გ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ფეიქრიშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი (55. კობახიძე), მერებაშვილი, ხუციშვილი (88. ფირცხალავა), აკირემი (61. სპასოევიჩი).

გაფრთხილება: ხუციშვილი (67), ზელიჩი (78)

არბიტრი: პ. კაილისი (კვიპროსი)

ხვალინდელ მატჩში გამოჩნდება, არის თუ არა მზად თბილისის "დინამო" ვენის "რაპიდთან" ტოლ-სწორად სათამაშოდ, პირველ მატჩამდე გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა **დუშან უჰრინმა**. უეფას თასზე თამაში "დინამომ" ფაქტობრივად, მეორე დღესვე დაასრულა და გაირკვა კიდეც, რომ გუნდი ამისთვის მზად არ არის. სიმართლე ითქვას და, აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ასე ფიქრობდა. გუშინდელი მატჩი უბრალოდ, ფორმალობა იყო და მეტი არაფერი. ერთადერთი იმის შიში არსებობდა, რომ გუნდს დიდი ანგარიშით არ წაეგო...

"დინამო" ყველაზე ტიტულოვანი ქართული გუნდია, ჰოდა, თუკი ვინმესგან რამეს ველით, უპირველესად მისგან, მაგრამ...

რამდენიმე წელიწადია გუნდში ვითარების შეცვლას ცდილობენ, ხან რა პროგრამა შეიმუშავეს, ხან - რა, თუმცა ამ საქმიდან დღემდე არაფერი გამოდის. ჩანს რაღაც უფრო მეტია გასაკეთებელი, ვიდრე მხოლოდ მწვრთნელების უშედეგოდ ცვლა, თორემ ვიღებთ ძალიან ცუდ შედეგს - საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ავსტრიული საზომებით საშუალო კლუბთან საკუთარ მოედანზეც კი ვერ ახერხებს ღირსეულად თამაშს, ორი მატჩის ჯამში 8:0 მარცხდება, ავსტრიული მედიის დასაცინი ხდება. არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის ქვემოთაც არაფრის დიდებით არ უნდა ჩამოხვიდე. ჩვენი საკლუბო (შესაძლოა, არა მარტო მისი) ფეხბურთი დღეს ალბათ, უკვე ამ ზღვარს ქვემოთაა. ძნელია ამ მდგომარეობას სახელი მოუძებნო.

"მოგესალმებით უეფას თასის საპასუხო მატჩზე", - წერს "სპორტ აინცი" "რაპიდი" -"დინამოს" მატჩის პირდაპირ ინტერნეტ ტრანსლაციაში, - "მართალია, პირველი მატჩის შედეგი, 3:0 ტიფლისში, ჩვენი გუნდის სასარგებლოდ, მიანიშნებს, რომ "რაპიდი" ჯგუფურ ეტაპზე გასულია, მაგრამ მაინც ვიფრთხილოთ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ვფიქრობთ რომ "დინამო" ამ მატჩში უკეთ ითამაშებს". ავსტრიელ ჟურნალისტებს ამგვარი სიფრთხილე რეპორტაჟის წარმართვისას მეტჯერ აღარ დასჭირვებიათ..

"თეთრ-მწვანე გუნდმა ცისფერებს ეგრევე შეუტია, პირველ წუთზე ბაზინას ჩაწოდება სახიფათოა, მაგრამ მეკარე ლორიამ ხიფათი გააუვნებელყო. მესამე წუთზე ბაზინას კიდევ ერთი, უფრო სახიფათო მომენტი შეექმნა, თუმცა ამჯერად ხორვატმა მეკარესაც ააცილა და კარსაც. "რაპიდი" "დინამოს" გონზე მოსვლის საშუალებას არ აძლევს - დასაწყისი ქარიშხალივითაა, რომელიც სტუმრებს თავს დაატყდათ".

აღარ შეგაწყენთ თავს მთელი ტრანსლაციის მოყოლით, მხოლოდ გოლებისა და ყველაზე საინტერესო მომენტების ავსტრიულ აღწერას შემოგთავაზებთ:

**1:0 (31-ე წთ.): "ბოშკოვიჩის ჩაწოდების შემდეგ, მარიო ბაზინა იღებს ბურთს, ატყუებს მეკარე ლორიას და ცარიელ კარგში გააქვს".**

**2:0 (55-ე წთ.): "კაფლაკის იდეალური ჩაწოდების შემდეგ ბილიჩს მეორე გოლი უპრობლემოდ გააქვს".**

**3:0 (მე-60 წთ.): "კაფლაკმა ჰოფერს გადააწოდა, მისი დარტყმული არ გამოვიდა ხეირიანი, ბურთში შტეფენ ჰოფმანს მისდის და 3:0".**

**4:0 (75-ე წთ.): "როგორც იქნა, თავად კაფლაკმაც გაიტანა. კულოვიცი-ჰოფერის კომბინაცია შუაში, კაფლაკის დარტყმით დასრულდა".**

**5:0 (77-ე წთ): "76-ე წუთზე ჰოფერი შერბის საჯარიმოში, სადაც მას ნედ ზელიჩი ეუხეშება. თერთმეტმეტრიანი. შტეფენ ჰოფმანი, ჩვენგან საუკეთესო, ლორიას სხვა კუთხეში გზავნის, ბურთს - სხვაში".**

**90-ე წთ: "არბიტრმა კაილისმა ჯერ საჯარიმო დარტყმა დანიშნა ჩვენს კარში, შემდეგ გადაიფიქრა და პენალტი დადო, მერებაშვილის დარტყმა პაიერმა მოიგერია".**

"რაპიდმა "დინამო" გაანადგურა" - ასეთი სათაურია ავსტრიული გუნდის ოფიციალურ საიტზე გამოფენილი..

"დიდებული თამაში აჩვენა "რაპიდმა" უეფას თასის საპასუხო მატჩშიც. ჩვენს გუნდს არანაირი პრობლემა არ ჰქონია. "რაპიდმა "დინამო" ნაწილებად დაშალა" - წერს "სპორტ აინცი". "რაპიდი" ძალიან ადვილად გავიდა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე. თბილუსური 3:0-ის მერე, ყველაზე დიდი პესიმისტიც კი დარწმუნებული იყო "რაპიდის" წარმატებაში. სტადიონზე მაინც მივიდა 12 500 გულშემატკივარი. ის რომ ქართველებს "მხოლოდ" 5:0 მოვუგეთ, "დინამო" მარიო ბაზინას უნდა უმადლოდეს.მართალია, ხორვატმა გახსნა ანგარიში, მაგრამ მანვე ექვსი (!) საგოლე მომენტი გააფუჭა, მათ შორის პირველი, მატჩის 23-ე წამზე! მატჩის ბოლოს მას სხვებმაც მიბაძეს და ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს, თუცმა არც ლორიას, სტუმართა გოლკიპერს, დავუკარგოთ დამსახურება. და "დინამო"?.. მხოლოდ 81-ე წუთზე გამოფხიზლდა, როცა პაიერმა სახიფათო თავური მოიგერია, ასევე პაიერის საკბილო გახდა მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე დანიშნული პენალტი".

### თამაშის შემდეგ

პეტერ პაკულტი ("რაპიდის" მთავარი მწვრთნელი): "რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ. მიუხედავად ყველაფრისა, საერთო 8:0-ისა, ურიგო მეტოქე არ გვყოლია. შინ აუცილებლად უნდა მოგვეგო. მადლობა მინდა ვუთხრა 12 ათას გულშემატკივარს, რომელიც ასეთ ამინდში მაინც მოვიდა სტადიონზე. ახლა მთელი ჩემი ფიქრები უკვე უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეა მიმართული, "დინამო" მხოლოდ წარსულია".

ველი კაფლაკი: "დღეს ძალიან ვისიამოვნეთ. გამიკვირდა, რომ მეტოქემ საქმე გაგვიიოლა".

შტეფენ ჰოფმანი: "პირველი ტაიმი ისეთი იოლიც არ იყო ჩვენთვის, როგორც საბოლოო ანგარიშიდან ჩანს. მეორე ტაიმში ბურთი სულ ჩვენი იყო".

მარიო ბაზინა: "დღეს უამრავი შანსი მქონდა და მხლოდ ერთი გამოვიყენე. 5:0 - ეს იყო მატჩი პუბლიკის გასამხიარულებლად".

და კიდევ ერთი სათაური - "ტიროლ ონლაინი": "რაპიდი" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე სეირნობით გავიდა".

**პაატა თოთაძე**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**





CHAMPIONS LEAGUE

| A ჯგუფი |
|---|
| ლივერპული |
| პორტუ |
| მარსელი |
| ბეშიქთაში |

| B ჯგუფი |
|---|
| ჩელსი |
| ვალენსია |
| შალკე |
| რუსენბორგი |

| C ჯგუფი |
|---|
| რეალი |
| ვერდერი |
| ლაციო |
| ოლიმპიაკოსი |

| D ჯგუფი |
|---|
| მილანი |
| ბენფიკა |
| სელტიკი |
| შახტიორი |

| E ჯგუფი |
|---|
| ბარსელონა |
| ლიონი |
| შტუტგარტი |
| რეინჯერსი |

| F ჯგუფი |
|---|
| მანჩესტერი |
| რომა |
| სპორტინგი |
| დინამო (კ) |

| G ჯგუფი |
|---|
| ინტერი |
| პსვ |
| ცსკა |
| ფენერბახჩე |

| H ჯგუფი |
|---|
| არსენალი |
| სევილია/აეკ |
| სტიაუა |
| სლავია |

ჯგუფური ეტაპის წილისყრა და კალენდარი 6

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ტრანსფერი

# რევაზ ბარაბაძემ კარლ ცაისთან კონტრაქტი გააფორმა

მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისში" ზაფხულიდან მოყოლებული, ოთხი ქართველი ვარჯიშობს. თუმცა დღემდე კონტრაქტი მხოლოდ სამ მათგანს ჰქონდა გაფორმებული - **გიორგი სეთურიძეს, გიორგი ონიანსა და ილია კანდელაკს**.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ოთხშაბათს გერმანელებმა **რეზო ბარაბაძესაც** შესთავაზეს კონტრაქტი და თანხმობა მიიღეს. ხელშეკრულება 1+1 სისტემით გაფორმდა.

რეზო ამჟამად თბილისში იმყოფება და ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ "კარლ ცაისი" 18 წლის თავდამსხმელის კარიერაში უკვე მესამე კლუბია, "თბილისისა" და დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" შემდეგ.

კონტრაქტის თაობაზე ინფორმაცია ჯერ კლუბის საიტზე არ დასტურდება, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ ყველა ოფიციალური დოკუმენტაცია უკვე გაფორმდა. ინფორმაცია თავად ფეხბურთელმაც დაგვიდასტურა.

**მერაბ მამულაშვილი**



რევაზ ბარაბაძე

უცხოურ პრესაში

# უკრაინული გაზეთის სენსაციური ინფორმაცია

## ტოპმიოლერს დრეზდენის დინამო იწვევს

**საქართველოს ნაკრებზე საინტერესო სტატია გამოქვეყნდა უკრაინის ყველაზე პოპულარულ სპორტულ გაზეთ "კომანდაში". 8 სექტემბერს, თბილისში უკრაინელები გვესტუმრებიან და უნდა დავასკვნათ, თუკი ამ ქვეყნის მედია ასეთი გათვითცნობიერებულია, ოლეგ ბლოხინის შტაბი უფრო დეტალურ ცნობებს უნდა ფლობდეს. გთავაზობთ სტატიის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს.**



კლაუს ტოპმიოლერი

"მატჩის წინ, უკრაინის მეტოქის ბანაკში ყველაფერი ნამდვილად არაა სასურველად. ლუქსემბურგთან ფრე ამაზე მიუთითებს. ქართველთა გერმანელმა მწვრთნელმა, **კლაუს ტოპმიოლერმა** შეგნებულად შეარჩია სუსტი მეტოქე, მის ხელქვეითებს შეთამაშება რომ მოეხერხებინათ და ოფიციალური მატჩის წინ განწყობა გაეუმჯობესებინათ. გაიუმჯობესეს?

გერმანელი მწვრთნელი მომენტების გამოუყენებლობაზე მეტად, მოთამაშეთა საქმისადმი დამოკიდებულებამ აღაშფოთა. თითქოს, მათ ნაკრებში თამაშისას თავი შვებულებაში ჰგონიათ.

ერთი ცხადია, შავ სიაში არ მოხვდებოდა ალეკო ამისულაშვილი, რომელიც საერთო ფონზე გამოირჩეოდა. აგრეთვე, "კარპატის" მეკარე **გიორგი ლომაია**, რომელმაც რამდენჯერმე გადაარჩინა თავისიანები. სამაგიეროდ, უკვე ასახელებენ იმ გვარებს, რომელთაც შეუძლიათ ნაკრების განახლება. შესაძლოა, გაიხსენონ შვეიცარიის "თუნის" თავდამსხმელი სანდრო იაშვილი, "კარლ ცაისში" გადასულები **ილია კანდელაკი, გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი**. მათ გარდა, ნაკრებში შეიძლება გამოიძახონ თბილისის "დინამოს" ნახევარმცველები **სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი** და **დავით ოდიკაძე**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა უკრაინის წინააღმდეგ 2005 წლის სექტემბრის ცნობილი მატჩი ჩაატარა და მალე ციხეში მოხვდა. ის ციხიდან სულ რაღაც რვა თვის წინათ გამოვიდა.

სავარაუდოდ, თამაშს ტრავმის გამო გამოტოვებს "სკონტოს" მცველი ზაალ ელიავა, ძნელია დავით კვირკველიას თაობაზე პროგნოზირება, რომელსაც ინგლისურ "სანდერლენდში" მოხვედრის გამო, საზრუნავი გაუჩნდა. იგივე ითქმის ვასილ გიგიაძეზეც, რომელიც ტოპმიოლერის ობიექტივში მოულოდნელად აღმოჩნდა. როდესაც ფორვარდს "კრივბასში" რეგულარულად გაჰქონდა, იგნორირებდნენ, ახლა კი უგოლობის პერიოდი დაუდგა და გაიხსენეს.

დაბეჯითებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ იქნება გოგიტა გოგუა, რომელიც თანაგუნდელებს ეჩხუბა, მას ლევან ცქიტიშვილიმა დაარტყა.

თბილისში საქართველო-უკრაინის მატჩი საღამოს, 20.00 საათზე დაიწყება. "პაიჭაძეზე მიხეილ სააკაშვილისა და ვიქტორ იუშჩენკოს დასწრებას ელოდებიან.

### სხვათა შორის, ტოპმიოლერი წასვლას აპირებს

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული მხარე და ტოპმიოლერი გაყრისთვის მომწიფდნენ. ეს კი, სავარაუდოდ, დეკემბერში მოხდება. შესაძლოა, დეკემბრის მატჩების აშკარა ჩავარდნის შემდეგაც. კავკასიელებმა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი დიდი ხანია დაკარგეს, გერმანელი კი, უბრალოდ, კონტრაქტის დასრულებამდე დროს ითვლის. პარალელურად, სხვათა შორის, ის ახალ კლუბსაც ეძებს. არაა გამორიცხული, კლაუსმა ოდესღაც სახელოვანი დრეზდენის "დინამო" ჩაიბაროს, რომელიც ამჟამად რეგიონალლიგაში გამოდის. ახლახანს კლუბი რუსმა ბიზნესმენმა იყიდა, რომელმაც რალფ მინგეს (საქართველოს ნაკრებში ტოპმიოლერის ასისტენტია, თავის დროზე კი "ლევერკუზენშიც" ეხმარებოდა) დახმარებით კბილი მოუსინჯა ტოპმიოლერს.

გერმანელთან ხელშეკრულების გაგრძელებით საქართველოს ფედერაციის ხელმძღვანელებიც დიდად აღარ არიან დაინტერესებულნი. ამბობენ, ისინი უზარმაზარი თანხის გადაყრას ნანობენ. ჯობდა ეს თანხა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მოგვეხმარაო, რომელიც გასული საუკუნის მოთხოვნებს თუ პასუხობს. იყო ჟირესი, არის ტოპმიოლერი, შედეგები კი იდენტურია. უფრო სწორად, ის არ არსებობს.

**სერგეი პილკევიჩი,**
კომანდა

ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

# შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს



რევაზ ძოძუაშვილი

**"შახტიორის" მთავარი მწვრთნელის რანგში რევაზ ძოძუაშვილის დებიუტი, წარმატებული გამოდგა. "შახტიორმა" "ატირაუ" 2:1 დაამარცხა და "ტობოლთან" ერთად კვლავ მეორე-მესამე ადგილს იყოფს. ძოძუაშვილი სადებიუტო შეხვედრაში ლევან მელქაძეს ენდო და მანაც ეს ნდობა გოლით დაუფასა. მანამდე კი ფორვარდი უმეტესად სათადარიგოთა შორის იყო.**

**პირველივე მოგებული მატჩის შემდეგ ყაზახურმა პრესამ რევაზ ძოძუაშვილის ინტერვიუ გამოაქვეყნა...**

- ამბიციურ გუნდში მუშაობა ყოველთვის მსიამოვნებს. ყარაღანდის "შახტიორის" წინადადებასაც ამიტომ დავთანხმდი. გასულ სეზონში მშობლიური ქუთაისის "ტორპედო" ჩავიბარე. გუნდი გავარდნის პირას იყო, მაგრამ პირველი წრის შემდეგ "ტორპედოს" უკვე მყარი პოზიციები ჰქონდა. ზამთრის პაუზისას "ოლიმპი" ჩავიბარე. კლუბის ხელმძღვანელობამ ჩემპიონობა დამისახა მიზნად და ეს ამოცანა პირნათლად შევასრულე. მეგონა, კლუბის ხელმძღვანელობა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებულ გამოსვლაზე გააკეთებდა ფსონს, მაგრამ დაპირებული ფინანსები არ გამოიყო და კლუბის დატოვება მომიწია.

**- საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისას ყარაღანდის "შახტიორი" წლების განმავლობაში პირველ ლიგაში ასპარეზობდა. საინტერესოა, პირველი რა შთაბეჭდილება შეგექმნათ ყარაღანდაში ჩამოსვლისას?**

- ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდისას, ყარაღანდაში ფეხბურთს დიდად აფასებდნენ. ახლაც აშკარად იგრძნობა, რომ აქ უყვართ ფეხბურთი. ხალხი დაინტერესებულია, რომ "შახტიორმა" სასურველი შედეგი აჩვენოს. აქედან გამომდინარე, ვალდებულები ვართ, მინიმუმ საპრიზო სამეულში დავმკვიდრდეთ.

**- წლების განმავლობაში თბილისის "დინამოში" ერთ-ერთი გამოკვეთილი სოლისტი იყავით. თუმცა, თქვენს გუნდს ალმა ათაში, "ქაირათთან" თამაში ყოველთვის უჭირდა...**

- საბჭოეთის ჩემპიონატი თავისი დონით ერთ-ერთი გამორჩეული იყო მსოფლიოში. "ქაირათი" კი თითქმის ყველა მეტოქისთვის კერკეტ კაკლად ითვლებოდა. "ქაირათში" ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, როგორებიც კვოჩკინი, ბაიშაკოვი და სხვები იყვნენ.

**- 1974 წლის 10 ივნისს "დინამომ" დიდი ანგარიშით 0:5 წააგო "ქაირათთან". ის თამაში თუ გახსოვთ?**

- არა, ვერ ვიხსენებ. ალბათ, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვიყავი გამოძახებული და იმ თამაშის გამოტოვება მომიწია.

**- თქვენ თუ ვერ იხსენებთ, მაშინ მე ჩამოგითვლით იმ მატჩში მოთამაშე ფეხბურთელებს: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ებრალიძე...**

- ააა, კი გამახსენდა. ჩავარდნა ყველა გუნდს აქვს და ჩვენც არ ვიყავით გამონაკლისი. იმ პერიოდში ზედიზედ ბევრი თამაშის ჩატარება მოგვიწია და წაგების მიზეზიც გადაღლა იყო.

**- ყარაღანდის "შახტიორის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებულ დებიუტს გილოცავთ. როგორც ჩანს, ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვა არ გაგჭირვებიათ...**

- ჩემთვის და გუნდისთვის ეს გამარჯვება მეტად საჭირო იყო. მოთამაშეებთან ყველა საუბარში ვცდილობდი, მათთვის ფეხბურთის ჩემეული ხედვა გადამეცა. მათთან ურთიერთგაგება არ გამჭირვებია. ჩვენს კონკურენტებს არ სძინავთ და შესაბამისად, "შახტიორს" არ აქვს შეცდომის დაშვების უფლება. თუ საქმეს პროფესიონალურად მივუდგებით, ჩვენ შევძლებთ წარმატების მიღწევას.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

### თარხნიშვილის საიუბილეო გოლი

მარიამობა დღეს, 28 აგვისტოს ტირასპოლის "შერიფი" ქალაქურ დერბიში "ტირასპოლ-ტირასს" დაუპირისპირდა. მოლდოვის ჩემპიონმა ამ დღეს საიუბილეო, მე-800 ბურთი გაიტანა, გოლი კი საკუთარ ანგარიშზე "შერიფის" ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** ჩაიწერა.

ეს შეხვედრის 43-ე წუთზე მოხდა. ტირასპოლელთა უცვლელმა კაპიტანმა თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა.

**მერაბ მამულაშვილი**

### ქართველები ჩემპიონთა ბრძოლაში

კაუნასში ბალტიის ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი გაიმართა, ლიტვის ჩემპიონი "კაუნასი" ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსს" შეხვდა. შეხვედრაში გოლები არ გასულა, საპასუხო მატჩი ვენტსპილსში 26 სექტემბერს გაიმართება. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ლატვიური "მეტალურგსი" და ლიტვური "ეკრანასი" თამაშობენ. "კაუნასის" რიგებში არ უთამაშია გივი კვარაცხელიას (სათადარიგო იყო), აკაკი ხუბუტიამ პირველ ტაიმში ითამაშა, ნუკრი მანჩხავამ - მეორეში. სტუმართა რიგებში არ იყო ზურაბ მენთეშაშვილი, სამაგიეროდ შეუცვლელად ითამაშა დავით იმედაშვილმა. 78-ე წუთზე მანჩხავას დარტყმული ხარიხამ მოიგერია, ეს მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| უეფას თასი II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები | |
|---|---|
| ოცელული-**ლოკომოტივი (ს)** | 0:0 (1:3) |
| სუდუვა-**ბრანი** | 3:4 (1:2) |
| ვოივოდინა-**ატლეტიკო** | 1:2 (0:3) |
| **გროცლინი**-ტობოლი | 2:0 (1:0) |
| **ზენიტი**-მორავცე | 3:0 (2:0) |
| **ერჩივესი**-მაკაბი (თ-ა) | 3:1 (1:1) |
| იაბლონეცი-**ავსტრია (ვ)** | 1:1 (3:4) |
| მატერსბურგი-**ბაზელი** | 0:4 (1:2) |
| **აიკ**-მეტალურგსი | 2:0 (2:3) |
| **ანორთოსისი**-კლუჟი | 0:0 (3:1) |
| **მიდტიულანდი**-ჰაკა | 5:2 (2:1) |
| **ლანსი**-იანგ ბოიზი | 5:1 (1:1) |
| **არტმედია**-მიკა | 2:0 (1:2) |
| **ვოლერენგა**-ეკრანასი | 6:0 (1:1) |
| **ოლბორგი**-ჰიკ | 3:0 (1:2) |
| **ცსკა (ს)**-ომონია | 2:1 (1:1) |
| **ლიტექსი**-ბესა | 3:0 (3:0) |
| მაკაბი (ნ)-**ლეირია** | 0:1 (0:0) |
| **ჰაპოელი (თ-ა)**-შიროკი ბრიეგი | 3:0 (3:0) |
| ფრედრიკსტადი-**ჰამარბიუ** | 1:1 (1:2) |
| **გალათასარაი**-სლავენი | 2:1 (2:1) |
| **ჰაკენი**-დანფერმლაინი | 1:0 (1:1) |
| **სტანდარდი**-კაერიენგი | 1:0 (3:0) |
| **სიონი**-რიდი | 3:0 (1:1) |
| **ჰამბურგი**-ჰონვედი | 4:0 (0:0) |
| **ჰელსინგბორგი**-დროგედა | 3:0 (1:1) |
| **ოდენსე**-დინამო (მნ) | 4:0 (1:1) |
| ურინაკი-**რაბოტნიჩკი** | 1:2 (0:0) |
| ბელზატოვი-**დნეპრი** | 2:4 (1:1) |
| **სამპდორია**-ჰაიდუკი | 1:1 (1:0) |
| **ბლექბერნი**-მიუჰა | 2:0 (1:0) |

ევრო 2008. მეტოქეები

# ტოპმიოლერი შემადგენლობას დღეს დაასახელებს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს, 8 სექტემბრის უკრაინასთან საშინაო მატჩით განვაახლებთ.

ეროვნულის თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი დღეს გამთენიისას დაბრუნდა თბილისში. დღესვე, 12 საათზე ფეხბურთის ფედერაციაში მისი პრესკონფერენცია შედგება. პრესასთან შეხვედრისას ტოპმიოლერი 8 და 12 სექტემბრის, შესაბამისად უკრაინასთან საშინაო და აზერბაიჯანთან გასვლითი ამხანაგური მატჩებისთვის ეროვნულში გამოძახებულთა შემადგენლობას დაასახელებს.

უკარინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა კი ეს გუშინ გააკეთა. თბილისში თამაშის შემდეგ კი უკრაინელები 12 სექტემბერს იტალიას კიევში ეთამაშებიან. ამ მატჩებისთვის მწვრთნელმა ნაკრებში 23 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), მაქსიმ სტარცევი (დნეპრი), ანდრეი პიატოვი (შახტიორი).

მცველები: ანდრეი ნესმაჩნი (დინამო), ვლადიმირ ეზერკსი (შახტიორი), ალექსანდრ კუჩერი (შახტიორი), დმიტრი ჩიგრინსკი (შახტიორი), ანდრეი რუსოლი (დნეპრი), ვიაჩესლავ სვიდერსკი (დნეპრი).

ნახევარმცველები: ოლეგ გუსევი (დინამო), რუსლან როტანი (დინამო), ტარას მიხალიკი (დინამო), კონსტანტინ კრავჩენკო (დნეპრი), სერგეი ნაზარენკო (დნეპრი), ოლეგ შილაევი (დნეპრი), ალექსანდრ გრიცაი (დნეპრი), ალექსეი გაი (შახტიორი), ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი, რუსეთი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი მ. რუსეთი).

თავდამსხმელები: ანდრეი ვორობეი (დნეპრი), ანდრეი ვორონინი (ლივერპული, ინგლისი), ალექსანდრ გლადკი (შახტიორი), ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, ინგლისი).

ნაკრებში პირველადაა გამოძახებული "დნეპრის" ნახევარმცველი **კონსტანტინ კრავჩენკო**. ვინ იცის, ნაკრების დებიუტანტი კლაუს ტოპმიოლერმაც დაახვედროს სტუმარს. ასევე, ალსანიშნავია დონეცკის "შახტიორის" ფეხბურთელების **დმიტრი ჩიგრინსკისა** და **ალექსანდრ გაის** დაბრუნება ნაკრებში. მათ ტრავმები ჰქონდათ და უზბეკეთთან ამხანაგურ შეხვედრაში არ უთამაშიათ.

დაბოლოს, საქართველო-უკრაინის მატჩი 8 სექტემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 19 საათზე დაიწყება. შეხვედრას ლუქსემბურგელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **ალან ჰამერია**, თანამსაჯები **ფრანსის კრელო** და **კრისტიან ჰოლტგენი**, მეოთხე მსაჯი კი **ალბერტ ტუსეინი** გახლავთ.

**დავით ცაბაძე**



შედგება რევანში უკრაინასთან?



# ერთი კვირის ათასი წვრილმანი

წვრილმანები მხოლოდ ერთ, რაღაც მნიშვნელოვან ბირთვს როდი ქმნიან, მათ სარგო ხიბლიც გააჩნიათ. რაღაც წვრილმანს ვერ ამჩნევ დღეს, მაგრამ ხვალ თუ ზეგ ის გონებაში მაინც ალწევს და მასზე ფიქრს გაიძულებს.

აგერ, ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ერთი კვირის წინათ ლუქსემბურგში ვერ მოიგო, ზედიზედ მესამე მატჩი ითამაშა უგოლოდ, ჟუჟასთანაც დაჩიავდა. მალხაზ ასათიანი კი შარშანდელი სექტემბრის აქეთ პირველად გამოჩნდა ნაკრებში, თუმცა კლაუს ტოპმიოლერმა ის მხოლოდ ერთი ტაიმი ათამაშა. ნაკრების ერთ-ერთმა საკვანძო ფეხბურთელმა თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ, მხოლოდ 45 წუთი დაჰყო მოედანზე. არადა, ის ნაკრებში თამაშს მონატრებული უნდა ყოფილიყო. ასათიანი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, თამაშის წარმართვა შეუძლია, ანუ განსაკუთრებული ფიგურაა ნაკრებში, მაგრამ მწვრთნელი მხოლოდ ერთ ტაიმს ათამაშებს მიუხედავად იმისა, რომ გუნდს გოლი არ ჰქონდა გატანილი.

- ჰერ კლაუს, რატომ შეცვალეთ ასათიანი?

- იმიტომ, რომ ეს ამხანაგური მატჩი იყო და თამაშის საშუალება რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელისთვის უნდა მიმეცა.

არ არსებობს კითხვა, ტოპის სხარტი პასუხი რომ არ ჰქონდეს და ალბათ, ამ კითხვაზეც ასე გვიპასუხებდა. მაგრამ ასათიანი ნაკრებში ორმოცდახუთწუთიანი ბურთაობით თამაშის ჟინს ალბათ ვერ მოიკლავდა და მატჩიც უგოლო ფრით დასრულდა. ისიც სათქმელია, რომ ტოპის მცველთაგან არავინ შეუცვლია, მაგრამ შეცვალა ასათიანი. ჰერ კლაუსი ლუქსემბურგთანაც ვინძლო უფრო იმაზე ფიქრობდა, გოლი არ გაეშვა.

უწვრილმანოდ, აბა, ეროვნული ჩემპიონატიც როგორ იქნება. მესამე ტურში ორი ისეთი ეპიზოდი იყო, ფორვარდი მეკარესთან პირისპირ გავიდა და გოლი იმიტომ ვერ გაიტანა, კიპერმა სარმა რომ გამოსდო. თუმცა ლოკომოტიველი დავით გვარამაძე და მერანელი კონსტანტინე სეფიაშვილი ამის გამო მოედნიდან არ გაუძევებიათ. ქართველ მსაჯთა შეფი ამირან კაჭახიძე ალბათ თავისებურად უდგება საკითხს და ფიფას წესებს უცნაურ თარგზე ჭრის და კერავს.

ტოპი კი ჯერ არც მეცხრამეტე ეროვნულის თამაშებს ესწრება, სადაც საკვირველი ის მოხდა, რომ "ამერმა" სამი მატჩიდან ორი წააგო. საკვირველი ალბათ არ იყო ის, "ამერის" პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ ქართველი სპორტული მასმედია რომ გააკრიტიკა - პარტნიორობას ვერ უწევს ფეხბურთს, საქმის კეთებაში ჩვენ ფეხბურთს ჩამორჩებაო.

ხშირად მომხდარა, სალამოს საინფორმაციო გამოშვება ისე ჩამთავრდება, იმ დღეს ჩავლილი ეროვნული ჩემპიონატის ტურის შედეგებს არავინ გამოაცხადებს, ან სპორტული ბლოკი იმით დაიწყება, "ატლანტა ჰოუკსმა" როგორ მოუგო "ბოსტონ სელტიკს" და დასრულდება იმით, თუ როგორ მორჩა "დილა"-"ბორჯომი".

ქართული კლუბების პრეზიდენტებს ხანდახან პრესლოჟასთან ახლოსაც უწევთ ყოფნა და რას აღარ გაიგებენ იქ. ამას წინათ "დინამო"-"რაპიდი" რომ იყო, ზოგი მედიელი "დინამოს" ისე ქომაგობდა, ფანკლუბელებს ტოლს არ უდებდა. ეს აკირემი რა კარგია! მიდი გენაცვალე, შეუგდე გოლი ავსტრიელებს! მიდი, მიდი!

მასეა,"დინამო" ხომ სულზე უტკბესი და უნეტარესია, ჩვენ ადრე ყველანი "დინამოს" ფანები ვიყავით. "რაპიდთან" მატჩში "ამერის" ფანთა ყოჩიც "დინამოს" ქომაგობდა და დინამოელ გულშემატკივრებსაც დირიჟორობდა. სოლიდარობა ფეხბურთშიც ბევრს ნიშნავს.

რუსთავის "ოლიმპის" ყოფილმა თავკაცმა რევაზ ძოძუაშვილმა გეოგრაფია აღმოსავლეთით გაიფართოვა და ყაზახური ''შახტიორი" ჩაიბარა. ყარაგანდელებს ბევრი სიახლე ელით. ძოძუაშვილი გამჭრიახი სპეციალისტია და არც შუა აზიაში ჩაიკარგება. ეს თვალსაწიერის საკითხიცაა. იყო დრო, ქართული გაზეთები წერდნენ, ძოძუაშვილი შესაძლოა, "ფიორენტინაში" წავიდეს სამწვრთნელოდო.

"დინამო" კი ჩვენ დროს სულ სხვა იყო...

**სიმონ ტაპამატა**



ძოძუაშვილმა წლეულს ქართული კლუბების მმუსრავ ყაზახებთან დაიჭირა საქმე

# მილანში ტრეზეგეთი და უდომენეკოდ

8 სექტემბერს, საქართველო-უკრაინის მატჩის პარარელურად ჩვენი ჯგუფის ლიდერები, იტალია და საფრანგეთი ერთმანეთს მილანში ეთამაშებიან. დისკვალიფიკაციის გამო, ფრანგთა ნაკრების თავკაცი **რაიმონ დომენეკი** გუნდს "სან სიროზე" ვერ უხელმძღვანელებს. გუშინ მან ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობა დაასახელა. იტალიასთან და შოტლანდიასთან (12 სექტემბერს) მატჩებისთვის რაიმონ დომენეკის რჩეულთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

მეკარეები: მიქაელ ლანდრო (პსჟ), სებასტიენ ფრეი (ფიორენტინა, იტალია), ულრიხ რამე (ბორდო).

მცველები: ერიკ აბიდალი (ბარსელონა, ესპანეთი), ფრანსუა კლერი (ლიონი), ჟულიენ ესკუდე (სევილია, ესპანეთი), პატრიკ ევრა (მანჩესტერი, ინგლისი), უილიამ გალასი (არსენალი, ინგლისი), პილიპ მექსი (რომა, იტალია), ბაკარი საგრა (არსენალი, ინგლისი), ლილიან ტიურამი (ბარსელონა, ესპანეთი).

ნახევარმცველები: ალუ დიარა (ბორდო), ლასან დიარა (ჩელსი, ინგლისი), კლოდ მაკელელე (ჩელსი, ინგლისი), სამირ ნასრი (მარსელი), ჯერემი ტულალანი (ლიონი), პატრიკ ვიეირა (ინტერი, იტალია), ფლორენ მალუდა (ჩელსი, ინგლისი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი, გერმანია)

თავდამსხმელები: ნიკოლა ანელკა (ბოლტონი, ინგლისი), კარიმ ბენზემა (ლიონი), სიდნეი გოვუ (ლიონი), ტიერი ანრი (ბარსელონა, ესპანეთი), დევიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია).

როგორც ხედავთ, მსოფლიო ჩემპიონებთან და შოტლანდიელებთან თამაშებისთვის დომენეკმა ნაკრებში "იუვენტუსის" გამოცდილი ფორვარდი **დევიდ ტრეზეგე** დააბრუნა.

გუშინვე ლიტვასთან და საფრანგეთთან თამაშებისთვის შემადგენლობა დაასახელა შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელმა **ალექს მაკლიშმა**:

მეკარეები: კრეიგ გორდონი (სანდერლენდი, ინგლისი), დევიდ მარშალი (ნორვიჩი, ინგლისი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი).

მცველები: გრემ ალექსანდერი (პრესტონი, ინგლისი), რასელ ანდერსონი (სანდერლენდი, ინგლისი), გარი კოლდუელი (სელტიკი), ალან ჰატონი (რეინჯერსი), ჯეი მაკეველი (დერბი, ინგლისი), სტეფენ მაკმანუსი (სელტიკი), გარი ნაისმითი (შეფილდი, ინგლისი), დევიდ უეირი (რეინჯერსი).

ნახევარმცველები: სკოტ ბრაუნი (სელტიკი), ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერი, ინგლისი), პოლ ჰარტლი (სელტიკი), ლი მაკალოჰი (რეინჯერსი), სტეფენ პერსონი (დერბი, ინგლისი), ბარი რობსონი (დანდი იუნაიტედი), გარი ტლი (დერბი, ინგლისი).

თავდამსხმელები: კრეიგ ბეტი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), კრის ბოიდი (რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი, ინგლისი), შონ მალონი (ასტონ ვილა, ინგლისი), კენი მილერი (სელტიკი), გარი ოკონორი (ბირმინგემი, ინგლისი).

იმავე 8 და 12 სექტემბერს ლიტვაც ორ მატჩს გამართავს. **ალგიმანდას ლიუბინსკასის** გუნდი შოტლანდიასა და ფარერებს ეთამაშება. ამ მატჩებისთვის ლიუბინსკასმა ნაკრებში შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო მ. რუსეთი), პაულიუს გრიბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი), საულიუს კლევინსკასი (სუდუვა).

მცველები: ანდრიუს სკერლა (ვეტრა), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებიე, პოლონეთი), მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ირმანტას ზელმიკასი (ტავრია, უკრაინა), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი), არუნას კლიმავიჩიუსი (დინამო მ. რუსეთი), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმშტადი, შვედეთი).

ნახევარმცველები: დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი), საულიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, შოტლანდია), დეივიდას ჩესნაუსკისი (ჰართსი, შოტლანდია), კესტუტის ივაშკევიჩიუსი (ჰართსი, შოტლანდია), ანდრიუს კშანავიჩიუსი (ჰართსი, შოტლანდია), მინდაუგას კალონასი (ყუბანი, რუსეთი), აურიმას კუჩისი (დაუგავა, ლატვია), იგორის მორინასი (ჟალგირისი, ვ.)

თავდამსხმელები: ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ედგარას იანკაუსკასი (ლარნაკა, კვიპროსი), ტომას რაძინევიჩიუსი (ბუდიოვიცე, ჩეხეთი), რობერტას პოშკუსი (როსტოვი, რუსეთი), ანდრიუს ველიჩკა (ჰართსი, შოტლანდია), რიკარდას ბენიუჩისი (ჰართსი, შოტლანდია).

**დავით ცაბაძე**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



# ეპიცენტრი მცხეთაში, ყენია კი კვლავ ლოკომოტივში



გასულ სეზონში ვიტ ჯორჯია-ოლიმპი განევ-გამონევით დასრულდა

ტური უპრეცედენტოდ ხანგრძლივი, ოთხდღიანია. ცენტრალური დაპირისპირება მცხეთაში იმართება, სადაც ლიდერი "ვიტ ჯორჯია" მოფერიანებულ "ოლიმპს" დაუხვდება. ანატოლი პისკოვეცს ხანმოკლე ქართული კარიერის განმავლობაში-ჯერ ქულაც არ დაუკარგავს და ვნახოთ, როგორ ჩაატარებს მისი გუნდი მორიგ პრინციპულ დაპირისპირებას. ბრძოლა უკლებლივ ყველა მატჩში იქნება და კალენდრის ახალი ფორმატი იმადაცაა კარგი, გულშემატკივარს მაქსიმალურად ბევრი შეხვედრის ხილვა რომ შეუძლია

## ზესტაფონი-ლოკომოტივი

31 აგვისტო. ზესტაფონი. ცენტრალური. 16:30

### სავარაუდო შემადგენლობები

ზესტაფონი: **ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, ნ. კვასხვაძე, ჟონატასი, კესანი, ვიეირა, ფიფია, გ. ჩხეტიანი (გ. ნოდ. ჭელიძე)**

ლოკომოტივი: **გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, გულორდავა, ტიკურიშვილი, სამხარაძე, ყენია, გ. მიქაძე, იმედაძე**

არბიტრი: ლ. სილაგავა

არადა არ დაადგა საშველი **ლევან ყენიას** გერმანიაში გამგზავრებას. იგი ვიზას ჯერჯერობით, ამაოდ ელის, რაც იმას ნიშნავს, რომ ზესტაფონშიც ითამაშებს. ჩემპიონატის ეფექტურად დაწყების შემდეგ, რკინიგზელებმა ზედიზედ ორი მარცხი განიცადეს და სატურნირო მარაგის შევსება დღეს ძალიან უნდა გაუჭირდეთ. **სანტოსის** არყოფნას თუ არ ჩავთვლით, "ზესტაფონში" ყველაფერი რიგზეა. **თემურ მახარაძეს** განსაკუთრებით მდიდარი არჩევანი თავდამსხმაში აქვს. **ფიფიასა** და **ჩხეტიანის** გარდა, ძირითადში მოხვედრის პრეტენზია ფორმაში შესულ **იონანიძესა** და ახალწვეულ **ჭელიძესაც** აქვთ.

## ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

1 სექტემბერი. მცხეთა. არმაზი. 16:30

### სავარაუდო შემადგენლობები

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე, კაიშაური, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, სახოკია, ბეჭვაია, გელაშვილი

დისკვალიფიკაცია: *მიქაბერიძე*

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, ნავალოვსკი, გეწაძე, ქებაძე, კოშკაძე (ჟივკოვიჩი), რ. ჯიქია, დვალიშვილი, ჯილდასი

დისკვალიფიკაცია: აკუასაგა

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ვეტერინარები ჯერჯერობით, დაუმარცხებლად ასპარეზობენ და თუ ამ საკვანძო მატჩშიც სასურველ შედეგს მიაღწევენ, ცხრილის ზედა ნაწილში კიდევ უფრო მყუდროდ იგრძნობენ თავს. მასპინძლები ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ. თასის მატჩში, "მეშაქრესთან" გაძევებული სათადარიგო მეკარე **მიქაბერიძე**, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი დანაკლისი არაა. "ოლიმპს" კი კვლავ დისკვალიფიცირებული ჰყავს **აკუასაგა**, რომელიც წინა ტურში დაცვის ცენტრში **ლევან სილაგაძემ** რიგიანად შეცვალა.

## ბათუმი-ბორჯომი

1 სექტემბერი. ბათუმი. ადელი. 16:30

### სავარაუდო შემადგენლობები

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, გალოგრე, კუნჭულია, მაკარიანი, ზ. ჭელიძე, დემურაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე, გ. მოდებაძე, კაკალაძე

დისკვალიფიკაცია: *კ. მახარაძე*

ბორჯომი: შეყრილაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, ქარქოზაშვილი, აკობია, მემარნიშვილი, ლონლაძე, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, გრიგალაშვილი, ყველაშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

თუ მსგავს მატჩებში ქულები დაგროვება დროულად არ დაიწყო, "ბათუმს" პირველ ლიგაში დაქვეითება არ ასცდება. არადა, ამ ფორმაციის "ბორჯომის" ძლევა თითქმის ყველა გუნდისთვის სერიოზული ამოცანა უნდა იყოს. მოკლედ, ბათუმური მატჩიც მეტად პრინციპული ხასიათისაა.

## მგლები-სპარტაკი

1 სექტემბერი. ზუგდიდი. ცენტრალური. 16:30

### სავარაუდო შემადგენლობები

მგლები: ივარდავა, ექონია, მაჭავარიანი, წურწუმია, კაკაბაძე, ქირია, ხუბუა, კრასოვსკი, კუტალია, ჯოჯუა, ბაკარანძე

დისკვალიფიკაცია: ფარულავა, ვართაგავა

სპარტაკი: კოდალაევი, მამუკაშვილი, თარხნიშვილი, ივანაშვილი, დარბაიძე, ბახტურიძე, პარამონოვი, ჩირიკაშვილი, ხიდეშელი, ძარია, ჯანელიძე

დისკვალიფიკაცია: *ხაჭიპერაძე*

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

"სპარტაკმა" თასის მეთექვსმეტედფინალში "გაგრას" ძლევით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პროგრესის გზას ადგას. ცხინვალური გუნდი თავდაპირველი ვარაუდით, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი ჯერ არ დამარცხებულა და ზუგდიდში თუნდაც ქულა რომ მოიპოვოს, უდავოდ დადებით შედეგად ჩაეთვლება. "მგლებს", რომელიც შინ ძლიერი თამაშით გამოირჩევა, მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვს. დისკვალიფიცირებულების, **ფარულავასა** და **ვართაგავას** გარდა, მასპინძლებს მეკარე **დევაძე** და ფორვარდები, **ჯანაშია** და **ჭედია** დააკლდებათ.

## ამერი-სიონი

2 სექტემბერი. თბილისი. ამერი. 16:00

### სავარაუდო შემადგენლობები

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, ჯელაძე (დეკანოსიძე), დავითაშვილი, ტატანაშვილი

სიონი: ბობლიაშვილი (სტურუა), ბოიომო, ოქროპირიძე, თავბერიძე, რაქვიაშვილი, ბაჯელიძე, სანიკიძე, კვიტაიშვილი (ქუცურუა), გაგუა, ჩასემი, ქარდავა

დისკვალიფიკაცია: *სვანიძე*

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

ამ მატჩის ვერმოგება "ამერისთვის" კატასტროფის ტოლფასი იქნება. არავინ ელოდა, თასის მფლობელებს სამი ტურის შემდეგ ორი მარცხი თუ ექნებოდათ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და გლდანელებს მდგომარეობის მცირედით გამოსასწორებლად გამარჯვება სჭირდებათ. ამგვარ შეხვედრებში "ამერს" წაფორხილების უფლება აღარ აქვს.

"სიონი" კი ერთადერთი უმაღლესლიგური გუნდია, რომელმაც თასის ჯგუფურ ეტაპზე ვერ შეაბიჯა. "მალაროელთან" განადგურება **ნოდარ აკობიას** პოსტის დაკარგვად დაუჯდა. ბოლნისელებს დროებით **გიორგი ყიფშიძე** გაწვრთნის. "სიონმა" სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინ, **ქუცურია, კვიტაიშვილი** და მეკარე **სტურუა** დაიმატა.

## მესხეთი-დილა

2 სექტემბერი. ახალციხე. მ. იაძე. 16:30

### სავარაუდო შემადგენლობები

მესხეთი: სომხიშვილი, ვ. აკოფიანი, გ. ნადირაშვილი, კობესაშვილი, ლეკიშვილი, ინასარიძე, ჟვანია, ზ. ჩხეტიანი, მ. თაყაძე, თურმანიძე, კაიდარაშვილი

დილა: ილურიძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ტლაშაძე, შატაკიშვილი, სულთანიშვილი, სადაღაშვილი, სამადაშვილი, ბ. ჩიტაია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

"მესხეთის" სომეხი ახალწვეული **ჰაიკ აკოფიანი** ჯერჯერობით, ოპტიმალურ ფორმაში არაა და გორელებთან მატჩს გამოტოვებს. წინა ტურში "ლოკომოტივის" ძლევის შემდეგ, ახალციხელები ჩინებულ განწყობაზე არიან და მორიგი სამი ქულისთვის იბრძოლებენ. წარმატების შანსი, ბუნებრივია, "დილასაც" აქვს. ამ თამაშში არც ერთი შედეგი გასაკვირი არ უნდა იყოს.

## დინამო-მერანი

3 სექტემბერი. თბილისი. 16:30

### სავარაუდო შემადგენლობები

დინამო: ლორია, შ. კაშია (თომაშვილი), ზელიჩი, კრშკო, დობეში, ფეიქრიშვილი, ხმალაძე, გ. მერებაშვილი, კობახიძე, დილმელაშვილი, აკირემი

მერანი: სეფიაშვილი, ლოლაძე, თ. კობიაშვილი, გიგაური, სარალიძე, ლომაშვილი, კ. ავალიანი, ზ. ავალიანი, ბესარაშვილი, ბ. ნოზაძე, გოჩაშვილი (სევასტოპულო)

არბიტრი: ო. ხეცაძე

ეს მატჩი, წესით, კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ "დინამოს" ავსტრიაში სტუმრობის გამო, ორშაბათისთვის გადაიტანეს. არაა გამორიცხული, ამიერიდან "დინამომ" მეტოქეებს ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლოს. წესით, დღეს უნდა დადგინდეს, სად მიიღებს **უჰრინის** გუნდი აუტსაიდერ "მერანს".

ლევან ჯანეზაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 3. დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. მესხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 5. ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 2-2 | 6 |
| 6. სპარტაკი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 7. სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8. ბორჯომი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 9. ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 10. ამერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 11. დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 12. მგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| 13. ბათუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 |
| 14. მერანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| ბ. ჩიტაია (დილა) | 2 |
| კაიდარაშვილი (მესხეთი) | 2 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

## ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი

### A ჯგუფი
**ლივერპული**
**პორტუ**
**მარსელი**
**ბეშიქთაში**

**18 სექტემბერი. სამშაბათი**
პორტუ - ლივერპული
მარსელი - ბეშიქთაში

**3 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
ლივერპული - მარსელი
ბეშიქთაში - პორტუ

**24 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
მარსელი - პორტუ
ბეშიქთაში - ლივერპული

**6 ნოემბერი. სამშაბათი**
ლივერპული - ბეშიქთაში
პორტუ - მარსელი

**28 ნოემბერი. ოთხშაბათი**
ლივერპული - პორტუ
ბეშიქთაში - მარსელი

**11 დეკემბერი. სამშაბათი**
პორტუ - ბეშიქთაში
მარსელი - ლივერპული

### B ჯგუფი
**ჩელსი**
**ვალენსია**
**შალკე**
**რუსენბორგი**

**18 სექტემბერი. სამშაბათი**
ჩელსი - რუსენბორგი
შალკე - ვალენსია

**3 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
ვალენსია - ჩელსი
რუსენბორგი - შალკე

**24 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
ჩელსი - შალკე
რუსენბორგი - ვალენსია

**6 ნოემბერი. სამშაბათი**
ვალენსია - რუსენბორგი
შალკე - ჩელსი

**28 ნოემბერი. ოთხშაბათი**
ვალენსია - შალკე
რუსენბორგი - ჩელსი

**11 დეკემბერი. სამშაბათი**
ჩელსი - ვალენსია
შალკე - რუსენბორგი

### C ჯგუფი
**რეალი**
**ვერდერი**
**ლაციო**
**ოლიმპიაკოსი**

**18 სექტემბერი. სამშაბათი**
რეალი - ვერდერი
ოლიმპიაკოსი - ლაციო

**3 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
ვერდერი - ოლიმპიაკოსი
ლაციო - რეალი

**24 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
რეალი - ოლიმპიაკოსი
ვერდერი - ლაციო

**6 ნოემბერი. სამშაბათი**
ლაციო - ვერდერი
ოლიმპიაკოსი - რეალი

**28 ნოემბერი. ოთხშაბათი**
ვერდერი - რეალი
ლაციო - ოლიმპიაკოსი

**11 დეკემბერი. სამშაბათი**
რეალი - ლაციო
ოლიმპიაკოსი - ვერდერი

### D ჯგუფი
**მილანი**
**ბენფიკა**
**სელტიკი**
**შახტარი**

**18 სექტემბერი. სამშაბათი**
მილანი - ბენფიკა
შახტარი - სელტიკი

**3 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
ბენფიკა - შახტარი
სელტიკი - მილანი

**24 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
მილანი - შახტარი
ბენფიკა - სელტიკი

**6 ნოემბერი. სამშაბათი**
სელტიკი - ბენფიკა
შახტარი - მილანი

**28 ნოემბერი. ოთხშაბათი**
ბენფიკა - მილანი
სელტიკი - შახტარი

**4 დეკემბერი. სამშაბათი**
მილანი - სელტიკი
შახტარი - ბენფიკა

### E ჯგუფი
**ბარსელონა**
**ლიონი**
**შტუტგარტი**
**რეინჯერსი**

**19 სექტემბერი. ოთხშაბათი**
ბარსელონა - ლიონი
რეინჯერსი - შტუტგარტი

**2 ოქტომბერი. სამშაბათი**
ლიონი - რეინჯერსი
შტუტგარტი - ბარსელონა

**23 ოქტომბერი. სამშაბათი**
შტუტგარტი - ლიონი
რეინჯერსი - ბარსელონა

**7 ნოემბერი. ოთხშაბათი**
ბარსელონა - რეინჯერსი
ლიონი - შტუტგარტი

**27 ნოემბერი. სამშაბათი**
ლიონი - ბარსელონა
შტუტგარტი - რეინჯერსი

**12 დეკემბერი. ოთხშაბათი**
ბარსელონა - შტუტგარტი
რეინჯერსი - ლიონი

### F ჯგუფი
**მანჩესტერი**
**რომა**
**სპორტინგი**
**დინამო**

**19 სექტემბერი. ოთხშაბათი**
რომა - დინამო
სპორტინგი - მანჩესტერი

**2 ოქტომბერი. სამშაბათი**
მანჩესტერი - რომა
დინამო - სპორტინგი

**23 ოქტომბერი. სამშაბათი**
რომა - სპორტინგი
დინამო - მანჩესტერი

**7 ნოემბერი. ოთხშაბათი**
მანჩესტერი - დინამო
სპორტინგი - რომა

**27 ნოემბერი. სამშაბათი**
მანჩესტერი - სპორტინგი
დინამო - რომა

**12 დეკემბერი. ოთხშაბათი**
რომა - მანჩესტერი
სპორტინგი - დინამო

### G ჯგუფი
**ინტერი**
**ეინდჰოვენი**
**ცსკა**
**ფენერბაჰჩე**

**19 სექტემბერი. ოთხშაბათი**
ეინდჰოვენი - ცსკა
ფენერბაჰჩე - ინტერი

**2 ოქტომბერი. სამშაბათი**
ინტერი - ეინდჰოვენი
ცსკა - ფენერბაჰჩე

**23 ოქტომბერი. სამშაბათი**
ეინდჰოვენი - ფენერბაჰჩე
ცსკა - ინტერი

**7 ნოემბერი. ოთხშაბათი**
ინტერი - ცსკა
ფენერბაჰჩე - ეინდჰოვენი

**27 ნოემბერი. სამშაბათი**
ინტერი - ფენერბაჰჩე
ცსკა - ეინდჰოვენი

**12 დეკემბერი. ოთხშაბათი**
ეინდჰოვენი - ინტერი
ფენერბაჰჩე - ცსკა

### H ჯგუფი
**არსენალი**
**სევილია/აეკ**
**სტიაუა**
**სლავია**

**19 სექტემბერი. ოთხშაბათი**
არსენალი - სევილია/აეკ
სლავია - სტიაუა

**2 ოქტომბერი. სამშაბათი**
სევილია/აეკ - სლავია
სტიაუა - არსენალი

**23 ოქტომბერი. სამშაბათი**
არსენალი - სლავია
სევილია/აეკ - სტიაუა

**7 ნოემბერი. ოთხშაბათი**
სტიაუა - სევილია/აეკ
სლავია - არსენალი

**27 ნოემბერი. სამშაბათი**
სევილია/აეკ - არსენალი
სტიაუა - სლავია

**12 დეკემბერი. ოთხშაბათი**
არსენალი - სტიაუა
სლავია - სევილია/აეკ

# პლატინის იდეები და პომპეზური საღამო გრიმალდი ფორუმში

მონაკოში გამართულ წილისყრას წინ უძღოდა უეფას პრეზიდენტის, **მიშელ პლატინის** ახალი იდეები ევროთასების გათამაშების ფორმულასთან დაკავშირებით. ფრანგი ჩინოვნიკი ევროპის საფეხბურთო ლიგების დელეგატებს შეხვდა და სწორედ მათთან გაახმოვანა მოსალოდნელი ცვლილებები, რომელიც სავარაუდოდ, 2009 წლიდან შევა ძალაში და 2012 წლის ჩათვლით იმოქმედებს.

პლატინის იდეის მიხედვით, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კვლავინდებურად 32 გუნდი ითამაშებს, ამასთან, ავტომატურად საგზურებს 22 გუნდი მიიღებს: თასის მოქმედი მფლობელი, სამ-სამი კლუბი იმ ასოციაციებიდან, რომლებიც უეფას რეიტინგში პირველ სამ ადგილს იკავებენ, 4-6 პოზიციებზე მყოფი ასოციაციებიდან 2-2 გუნდი, აგრეთვე 7-12 ადგილების მფლობელი ასოციაციებიდან თითო-თითო კლუბი. როგორც იცით, დღეს მოქმედი სისტემით, ჯგუფური ეტაპის საგზურებს ავტომატურად 16 გუნდი იღებს. ასე რომ, პლატინის იდეით, ლიგაში გარანტირებული ადგილი ექნებათ იმ ქვეყნებს, რომლებიც პირველი ათეულის ბოლოსა და მეორე ათეულის დასაწყისში იმყოფებიან.

ჯგუფური ტურნირის კიდევ 10 საგზური შემდეგნაირად გათამაშდება. არსებობს არჩევის ორი სავარაუდო ვარიანტი: სამრაუნდიანი საკვალიფიკაციო სტადია 40 ქვეყნის ჩემპიონთათვის და ეს მინი-ტურნირი ჯგუფური ეტაპის 6 წარმომადგენელს გამოავლენს, პარალელურად გაიმართება ორრაუნდიანი საკვალიფიკაციო ტურნირი იმ ქვეყნების თასების მფლობელთათვის, რომლებსაც უეფას რეიტინგში პირველი 16 ადგილი უჭირავთ. ამ გზით, საგზურის კიდევ 4 მფლობელი გამოვლინდება.

*"ჩვენ არ შევცვლით 32-გუნდიან ფორმატს, მაგრამ ჩემი სურვილია, უფრო მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ ეროვნულ სათასო გათამაშებებს,* - განაცხადა პლატინიმ, რომელმაც განმარტა, რომ ყოველი ასოციაციიდან პოტენციურ მონაწილეთა რაოდენობა არ შეიცვლება, გარკვეულ შემთხვევებში კი, ეს რიცხვი შეიძლება გაიზარდოს კიდეც. - *ჩვენ ეს იდეები სტრატეგიულ საბჭოს შევთავაზეთ. საფეხბურთო საზოგადოებას ფიქრისთვის დრო სჭირდება, განსაკუთრებით ეს პროფესიულ ლიგებს ეხება, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ უეფას აღმასკომში ამ საკითხის განხილვა სექტემბრიდან ნოემბერში გადაგვეტანა".*

ახლა, რაც შეეხება უეფას თასის ფორმატს. ის ასე გამოიყურება: ჯგუფურ ტურნირში 48 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის, ტურნირის მოქმედი ჩემპიონი, 10 გუნდი ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი სტადიიდან, აგრეთვე 37 გუნდი უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპიდან. ეს 48 მონაწილე 12 ოთხგუნდიან ჯგუფად დაიყოფა და წრიული სისტემით 6 ტურს ითამაშებს. პირველ ორ ადგილზე გასულები ფლეიოფის საგზურებს მოიპოვებენ, სადაც მათ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მესამე ადგილებზე გასული რვა გუნდი შეუერთდება.

პლატინიმ სხვა საინტერესო იდეებიც გაახმოვანა. მისი აზრით, ევროთასების ფინალებზე მაყურებელთა მინიმუმ 75 პროცენტი, უბრალო გულშემატკივრებმა უნდა შეადგინონ და არა კომერციულმა პარტნიორებმა, სპონსორებმა თუ განსაკუთრებით მნიშვნელოვანმა პერსონებმა. გარდა ამისა, უეფას პრეზიდენტი ჩემპიონთა ლიგის ფინალების არა ოთხშაბათს, არამედ უქმე დღეებში ჩატარებას გეგმავს. *"ვერ ვნახე ათენის ამასწინანდელ ფინალზე ბავშვები. გადამწყვეტი მატჩი შაბათს, საღამოს რომ ჩატარებულიყო, თამაშს ბავშვებითურთ უფრო მეტი ოჯახი დაესწრებოდა",* - ამბობს პლატინი.



კაკა, მალდინი, ზეედორფი და ჩეხი

ფრანგის ბოლო ნოვაცია კი იმაში მდგომარეობს, რომ მას სურს, ფინალები თანამედროვე სტადიონებზე გაიმართოს, სადაც ტრიბუნებზე არანაკლებ 70 ათასი მაყურებელი ეტევა.

■ ■ ■

ახლა, რაც შეეხება თავად "გრიმალდი ფორუმში" ჩატარებულ ცერემონიალს. წილისყრის პარალელურად, უეფამ გასული ევროსეზონის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. საუკეთესო მეკარის პრიზი "ჩელსის" ჩეხ ლეგიონერს, **პეტრ ჩეხს რინატ დასაევმა** გადასცა, **რონალდ კუმანმა** საუკეთესო მცველად მილანელი **პაოლო მალდინი** დაასახელა. ასევე "მილანის" წევრები იყვნენ დანარჩენი ლაურეატები. საუკეთესო ნახევარმცველი **კლარენს ზეედორფი** გახდა (პრიზი **დიდიე დეშამმა** გადასცა), **დეიან სავიჩევიჩმა** საუკეთესო თავდამსხმელი **კაკა** დააჯილდოვა. საღამოს კულმინაცია სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა იყო და აქაც კაკამ აჯობა ყველას.

წილისყრის ცერემონიაში რაიმე სიახლე არ ყოფილა. ჯგუფური ეტაპის 32 მონაწილე, მათი რეიტინგების მიხედვით ოთხ კალათაში გადაანაწილეს და ყოველი კალათიდან თითო გუნდი ერთ ჯგუფს აკომპლექტებდა.

ჯერჯერობით, უცნობია ჯგუფური ტურნირის ერთი მონაწილე. **ანტონიო პუერტას** გარდაცვალების გამო, აეკისა და "სევილიას" განმეორებითი მატჩი 3 სექტემბერს გაიმართება და ამ წყვილში გამარჯვება ბოლო, H ჯგუფში ითამაშებს.

ლიგა 18/19 სექტემბერს დაიწყება, ბოლო ტურის მატჩები კი, 11/12 დეკემბერს გაიმართება. თუმცა D ჯგუფის ბინადარნი, ჯგუფურ ეტაპს 4 დეკემბერს დაასრულებენ. ეს იმიტომ, რომ მოქმედ ჩემპიონს, "მილანს" ფიფას საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატზე ელის გამოსვლა.

### კალენდარი ტურების მიხედვით

**I ტური**

**18 სექტემბერი. სამშაბათი**
პორტუ - ლივერპული (A)
მარსელი - ბეშიქთაში (A)
ჩელსი - რუსენბორგი (B)
შალკე - ვალენსია (B)
რეალი - ვერდერი (C)
ოლიმპიაკოსი - ლაციო (C)
მილანი - ბენფიკა (D)
შახტარი - სელტიკი (D)

**19 სექტემბერი. ოთხშაბათი**
ბარსელონა - ლიონი (E)
რეინჯერსი - შტუტგარტი (E)
რომა - დინამო (F)
სპორტინგი - მანჩესტერი (F)
ეინდჰოვენი - ცსკა (G)
ფენერბაჰჩე - ინტერი (G)
არსენალი - სევილია/აეკ (H)
სლავია - სტიაუა (H)

**II ტური**

**2 ოქტომბერი. სამშაბათი**
ლიონი - რეინჯერსი (E)
შტუტგარტი - ბარსელონა (E)
მანჩესტერი - რომა (F)
დინამო - სპორტინგი (F)
ინტერი - ეინდჰოვენი (G)
ცსკა - ფენერბაჰჩე (G)
სევილია/აეკ - სლავია (H)
სტიაუა - არსენალი (H)

**3 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
ლივერპული - მარსელი (A)
ბეშიქთაში - პორტუ (A)
ვალენსია - ჩელსი (B)
რუსენბორგი - შალკე (B)
ვერდერი - ოლიმპიაკოსი (C)
ლაციო - რეალი (C)
ბენფიკა - შახტარი (D)
სელტიკი - მილანი (D)

**III ტური**

**23 ოქტომბერი. სამშაბათი**
შტუტგარტი - ლიონი (E)
რეინჯერსი - ბარსელონა (E)
რომა - სპორტინგი (F)
დინამო - მანჩესტერი (F)
ეინდჰოვენი - ფენერბაჰჩე (G)
ცსკა - ინტერი (G)
არსენალი - სლავია (H)
სევილია/აეკ - სტიაუა (H)

**24 ოქტომბერი. ოთხშაბათი**
მარსელი - პორტუ (A)
ბეშიქთაში - ლივერპული (A)
ჩელსი - შალკე (B)
რუსენბორგი - ვალენსია (B)
რეალი - ოლიმპიაკოსი (C)
ვერდერი - ლაციო (C)
მილანი - შახტარი (D)
ბენფიკა - სელტიკი (D)

**IV ტური**

**6 ნოემბერი. სამშაბათი**
ლივერპული - ბეშიქთაში (A)
პორტუ - მარსელი (A)
ვალენსია - რუსენბორგი (B)
შალკე - ჩელსი (B)
ლაციო - ვერდერი (C)
ოლიმპიაკოსი - რეალი (C)
სელტიკი - ბენფიკა (D)
შახტარი - მილანი (D)

**7 ნოემბერი. ოთხშაბათი**
ბარსელონა - რეინჯერსი (E)
ლიონი - შტუტგარტი (E)
მანჩესტერი - დინამო (F)
სპორტინგი - რომა (F)
ინტერი - ცსკა (G)
ფენერბაჰჩე - ეინდჰოვენი (G)
სტიაუა - სევილია/აეკ (H)
სლავია - არსენალი (H)

**V ტური**

**27 ნოემბერი. სამშაბათი**
ლიონი - ბარსელონა (E)
შტუტგარტი - რეინჯერსი (E)
მანჩესტერი - სპორტინგი (F)
დინამო - რომა (F)
ინტერი - ფენერბაჰჩე (G)
ცსკა - ეინდჰოვენი (G)
სევილია/აეკ - არსენალი (H)
სტიაუა - სლავია (H)

**28 ნოემბერი. ოთხშაბათი**
ლივერპული - პორტუ (A)
ბეშიქთაში - მარსელი (A)
ვალენსია - შალკე (B)
რუსენბორგი - ჩელსი (B)
ვერდერი - რეალი (C)
ლაციო - ოლიმპიაკოსი (C)
ბენფიკა - მილანი (D)
სელტიკი - შახტარი (D)

**VI ტური**

**4 დეკემბერი. სამშაბათი**
მილანი - სელტიკი (D)
შახტარი - ბენფიკა (D)

**11 დეკემბერი. სამშაბათი**
პორტუ - ბეშიქთაში (A)
მარსელი - ლივერპული (A)
ჩელსი - ვალენსია (B)
შალკე - რუსენბორგი (B)
რეალი - ლაციო (C)
ოლიმპიაკოსი - ვერდერი (C)

**12 დეკემბერი. ოთხშაბათი**
ბარსელონა - შტუტგარტი (E)
რეინჯერსი - ლიონი (E)
რომა - მანჩესტერი (F)
სპორტინგი - დინამო (F)
ეინდჰოვენი - ინტერი (G)
ფენერბაჰჩე - ცსკა (G)
არსენალი - სტიაუა (H)
სლავია - სევილია/აეკ (H)

ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# ჯინკუე ბარძო, პან ბორუც!



სელტიკი-სპარტაკი. ბოლო პენალტის შემდეგ

**თამამად** შეიძლება ითქვას, რომ ოთხშაბათ საღამოს, გლაზგოს კათოლიკური ნაწილის ღმერთი, პოლონელი მეკარე არტურ ბორუცი იყო. ალბათ, სათაური გეუცნაურათ. პოლონურიდან ქართულზე ეს სამადლობელ სიტყვებს ნიშნავს, სიტყვებს, რომელიც გადაჭედილმა "სელტიკ პარკმა" იმ მეკარეს უძღვნა, რომელმაც ერთ მატჩში სამი პენალტი (ერთი თამაშიდან) მოიგერია და შოტლანდიის ჩემპიონი ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა...

**დინამო (კ)-სარაევო 3:0 (1:0)**

**დინამო:** შოვკოვსკი, დიაკიტი, ელ ხადური, გავრანჩიჩი, მარკოვიჩი, მაიკლი (82. როტანი), კორეა (79. ბელკევიჩი), გიონაე, გუსევი, ბანგურა (83. რებროვი), შაცკიხი.

**სარაევო:** ალაიმი (61. ფეჯიჩი), ბაბიჩი, ბაზიჩი, ჰაჯიჩი, მილოშევიჩი, შარაბა, ჯაკმიჩი, გრუჯიჩი, რეპუხი (46. იანოში), მეჟიჩი (68. ჰანჯიჩი), რაშიჩი.

**გოლები:** 1:0 ბანგურა (3), 1:1 ბანგურა (76), 3:0 რებროვი (90-პენ)

**მაყურებელი:** 15 000

კიევის "დინამოს" საჩემპიონთალიგო ნახტომი, პირველ რიგში, **ანატოლი დემიანენკოსთვისაა** მნიშვნელოვანი. უკრაინის ჩემპიონატში უხეირო სტარტისთვის, მას გადაყენებას უპირებდნენ. "სარაევოსთან" გამარჯვებით კი, საბჭოთა ნაკრების ყოფილი მარცხენა მცველი, შეიძლება ითქვას, რეაბილიტირებულია.

**შახტარი-ზალცბურგი 3:1 (0:1)**

**შახტარი:** პიატოვი, ჩიგრინსკი, ილსინიო (72. დულიაი), კუჩერი, ლევანდოვსკი (57. კასტილიო), რაცი, ფერნანდინიო, ჟადსონი, სრნა, გლადკი (55. ბრანდაუ), ლუკარელი.

**ზალცბურგი:** ოხსი, კოვაჩი, მაიერი, მიამოტო, იბრაჰიმი, აუფჰაუზერი (89. ლოკვენცი), კარბონი, ლაიტგები, შტაინჰოფერი, ფონლანტენი, ციკლერი.

**გოლები:** 0:1 მაიერი (5), 1:1 ლუკარელი (9), 2:1 კასტილიო (78-პენ), 3:1 ბრანდაუ (86)

**მაყურებელი:** 35 000

ლიგაში მოხვდა უკრაინის ვიცე-ჩემპიონი "შახტარიც", მაგრამ კიევთან შედარებით, დონეცკში რადიკალურად განსხვავებული ატმოსფერო სუფევდა. თუ "დინამომ" სანუკვარი საგზური, ფაქტობრივად, პირველ მატჩში გაინაღდა, "შახტარმა" მეტოქეს ის მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე გამოჰგლიჯა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დონეცკელთა რუმინელმა მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმ** პირწმინდად აჯობა მრავლისმნახველსა და ტიტულოვან **ჯოვანი ტრაპატონის**, რომლის ერთადერთი არგუმენტი 89-ე წუთზე ტანმაღალი ჩეხი ფორვარდის **ლოკვენცის** გამოყვანა იყო, მაგრამ... მაგრამ ტრაპს დააგვიანდა და დაისაჯა იმის გამო, რომ **მაიერის** მიერ მე-5 წუთზე გატანილი გოლის შემდეგ, ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა. ხოლო პირველი, ვისგანაც ტრაპმა საგანგაშო სიგნალი მიიღო, მისივე თანამემამულე, დონეცკში ამ ზაფხულს გადასული ფორვარდი **ლუკარელი** გახლდათ. ახლა, ტრაპატონი, შეიძლება, უფრო მწვავე სიგნალსაც ელოდება კლუბის ხელმძღვანელობისგან. შეცვლებს რაც შეეხება, ლუჩესკუმ ამ კომპონენტშიც დაჯაბნა ლეგენდარული მაესტრო. "შახტარის" ორი გოლი სწორედ შეცვლაზე შესული **კასტილიოსა და ბრანდაუს** ანგარიშზეა...

საფინალო სასტვენისთანავე, მთელი დონეცკი ზეიმმა მოიცვა. ფეხბურთელები დიდხანს არ ტოვებდნენ მოედანს. კლუბის პრეზიდენტმა **რინატ ახმეტოვმა** პრესას კომენტარი ვერ მისცა იმის გამო, რომ მესამე გოლის მომენტში ღრიალისგან ხმა დაკარგა. ქვანახშირის რეგიონში დედაქალაქიდან სპეციალურად ჩაბრძანდა უკრაინის პრემიერი **ვიქტორ იანუკოვიჩი**, რომელიც "შახტარის" თავგადაკლული ქომაგი გახლავთ. იანუკოვიჩსა და **ვიქტორ იუშჩენკოს** შორის მეტოქეობა ფეხბურთის სფეროშიც ვლინდება. პრეზიდენტი ხომ "დინამოს" ფანია...

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ უკრაინის ხელისუფლებას ფეხბურთი ჩვენსაზე მეტად უყვარს. ალბათ, კლუბების კეთილდღეობა სახელმწიფოს პირდაპირი საზრუნავი არ უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მეგობარ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის ბევრად უკეთესი გარემოა შექნილი. საქმე ისაა, როდის ეყოლება საქართველოს ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თუნდაც ერთი გუნდი? თუ დღევანდელი მდგომარეობით ვიმსჯელებთ, პასუხი მარტივი იქნება: არც არასოდეს!

**ბეშიქთაში-ციურიხი 2:0 (1:1)**

**ბეშიქთაში:** ჰაქანი, სერდარ ქურთულუში, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმეზი, გოქანი, სისე, დელგადო (75. ალი თანდოგანი), სერდარ ოზქანი, რიკარდინიო (77. იბრაჰიმ აქინი), ბობო, ტელო (90. ბათუჰან კარადენიზი).

**ციურიხი:** ლეონი, ბარმეტლერი, როშა, შნაიდერი (67. კოლარი), შტაჰელი (79. შონბახლერი), ტიჰინენი, აბდი, ჩიხაუი, ოკონკვო, ეუდისი (67. ჰასლი), არაუჟო.

**გოლები:** 1:0 დელგადო (57), 2:0 დელგადო (66)

**მაყურებელი:** 27 000

შეიძლება ითქვას, რომ "ბეშიქთაშს" შვეიცარიული კლუბის დამარცხება არ გასჭირვებია. პირველ ტაიმშიც, რომელიც უგოლოდ დასრულდა, თურქებს გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე ნახევრის 10-წუთიანი მონაკვეთი, რომელიც არგენტინელი **მატიას დელგადოს** დუბლით აღინიშნა. ამით, მან "ციურიხზე" ერთგვარი რევანში აიღო. საქმე ისაა, რომ ერთი წლის წინათ, როცა დელგადო ჯერ კიდევ "ბაზელში" თამაშობდა, მისმა გუნდმა ბოლო ტურში ჩემპიონის ტიტული სწორედ "ციურიხს" დაუთმო. სხვათა შორის, სტამბოლის მატჩის წინა დღეს დელგადომ პირობა დადო, რომ ძველი წყენის გამო, მეტოქეს დუბლით გაამწარებდა. სიტყვის კაცი ვარო, ამან უნდა თქვას.

**სტიაუა-ბატე 2:0 (2:2)**

**სტიაუა:** საპატა, გოიანი, მარინი, ნესუ, რადა, დიკა, ლოვინი (57. ბიჩფალვი), პეტრე, ნეაგა (69. კროიტორუ), ნიკოლიცა, ზაჰარია (53. ბადეა).

**ბატე:** ფიოდოროვიჩი, ფილიპენკო, კაზანცევი, რადკოვი, სახაროვი (55. ჟავნერჩიკი), ერმაკოვიჩი (77. რადევიჩი), ლიხტაროვიჩი, პ. პლატონოვი, სტასევიჩი (83. ვიშნიაკოვი), ბლიზნიუკი, დ. პლატონოვი.

**გოლები:** 1:0 ზაჰარია (12), 2:0 ნეაგა (54)

**მაყურებელი:** 25 000

ნაკლებად, თუ ვინმეს სჯეროდა, რომ ბელარუსის ჩემპიონი ბუქარესტში სასწაულს მოახდენდა. თუმცა "ბატესის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მე-12 წუთზე გაშვებული გოლის მიუხედავად, ბრძოლა საფინალო სასტვენამდე არ შეუწყვეტია. ბრწყინვალე მომენტები ჰქონდა **დმიტრი პლატონოვს**, გოლის გატანა შეეძლო **სტასევიჩსაც**, მაგრამ **ნიკოლიცას** გასწვრივი გადაცემით **ნეაგამ** მეორე ბურთიც შეაგდო და მეტოქეს თავისი ადგილი მიუჩინა. როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არის. "სტიაუა" ზედიზედ მეორედ გადის ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში.

**ანდერლეხტი-ფენერბაჰჩე 0:2 (0:1)**

**ანდერლეხტი:** ზიტკა, დეშახტი, იუჰაში, პარეია, ვან დამი (79. გოორი), ვასილევსკი (78. ლეგერი), ბილია, ბუსუფა (59. ტერო), ჰასანი, პოლაკი, ჩიტე.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, დენიზ ბარიში, რობერტო კარლოსი, ლუგანო, ონდერი, ალექსი (78. სელჩუკი), მეჰმეთი, ედუ, თუმერი (66. კაზიმ-რიჩარდსი), დეივიდი (90. ვედერსონი), კეჟმანი.

**გოლები:** 0:1 კეჟმანი (3), 0:2 ალექსი (77)

**მაყურებელი:** 41 566

"ფენერბაჰჩემ" შარშანდელი "შეცდომა" გამოასწორა და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია. პირველი მატჩის ანგარიშიდან გამომდინარე, ბელგიელებმა თამაში მაღალ ტემპში დაიწყეს, მაგრამ უკვე მე-3 წუთზე მათ იმედებს ცივი შხაპი გადაესხა. "ანდერლეხტის" მცველებმა კუთხურის შემდეგ ბურთი საჯარიმოდან ვერ გამოიტანეს და **კეჟმანი** იქვე იყო - 0:1. პირველ ტაიმში სტუმრებს ორჯერ გაუღიმათ ბედმა, როცა ჯერ **ბუსუფამ**, მერე კი **ვან დამმა** ხარიხა შეაზანზარეს. კაცმა რომ თქვას, თამაშის სცენარი "ანდერლეხტს" ასეთ უიმედო მარცხს არ უქადდა, მაგრამ ფეხბურთში გოლებს ითვლიან და არა მომენტებს. ამიტომაც დაისაჯა **ფრანკ ვერკოტერენის** გუნდი, რომელსაც დაცვის მორიგი ლაფსუსი ბრაზილიელი **ალექსის** მეორე გოლად დაუჯდა.

**სლავია-აიაქსი 2:1 (1:0)**

**სლავია:** ვინიაკი, ბრაბეცი, დრიუდალი, იანდა, კალივოდა, კრაიჩიკი, შმიცერი (14. ივანა), სუჩი, შვეცი, ტავარეში, ვლჩეკი.

**აიაქსი:** სტეკელენბურგი, კოლინი, ემანუელსონი (59. ვერტონგენი), ჰეიტინგა, სტამი, ვერმალენი, კენედი (65. რომედალი), გაბრი, დელორჟი, ჰუნტელაარი, სუარესი.

**გოლები:** 1:0 ვლჩეკი (22), 1:1 სუარესი (33), 2:1 ვლჩეკი (86)

**მაყურებელი:** 17 000

ზედიზედ მეორე სეზონია, "აიაქსი" საკვალიფიკაციო ციკლის ამ სტადიაზე ხელმოცარული რჩება. შარშან, ჰოლანდიური გრანდი "კოპენჰაგენმა" გაამწარა, ახლა კი ეს მისია "სლავიამ" იკისრა და შეასრულა კიდეც. ახლა გვიანია იმაზე საუბარი, რომ პრაღული კლუბის მეკარე **ვანიაკი** ორივე მატჩის ერთ-ერთი მთავარი გმირი იყო, რომ ამსტერდამელებს მეტოქეზე გაცილებით მეტი საგოლე შანსი ჰქონდათ... რომ "აიაქსს" ჰყავს **ჰუნტელაარი**, რომელსაც ჰოლანდიის ჩემპიონატის ყოველ მატჩში ლამის ოთხ-ოთხი გოლი გააქვს. ფაქტი კი ისაა, რომ იგივე ჰუნტელაარი ევროტურნირებში გუნდს, ჯერჯერობით, ვერაფრით ეხმარება.

**დინამო (ზ)-ვერდერი 2:3 (1:2)**

**დინამო:** კოხი, კარლოსი, დრპიჩი, ეტო (78. გუელა), ხორხე კამპოსი (75. მიკიჩი), მოდრიჩი, პოკრივაცი (61. ვუგრინეცი), შილდენფელდი, ვუკოევიჩი, ბალაბანი, მანჯუკიჩი.

**ვერდერი:** ვიზე, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, შულცი (81. ტოზიჩი), ბაუმანი, დიეგო, იანსენი, ვრანიესი, უგო ალმეიდა (68. ჰარნიკი), სანოგო (76. როზენბერგი).

**გოლები:** 0:1 დიეგო (13-პენ), 1:1 ვუკოიევიჩი (21), 1:2 სანოგო (38), 2:2 მოდრიჩი (41-პენ), 2:3 დიეგო (68-პენ)

**მაყურებელი:** 34 000

საკუთარ მოედანზე მოკრძალებული გამარჯვების შემდეგ, "ვერდერი" ზაგრებში სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა. გადაჭედილი "მაქსიმირი" თავის კუმირებს მხურვალედ ქომაგობდა, მაგრამ **თომას შააფის** გუნდმა ბუნდესლიგის ღირსება არ შებღალა და ზემობილიზაციის ხარჯზე საწადელსაც მიაღწია. სხვა საქმეა, რას იზამენ დასუსტებული "მუსიკოსები" ჯგუფურ ეტაპზე. ვფიქრობთ, მესამე ადგილი და შესაბამისად, უეფას თასზე გადასვლა ამ "ვერდერისთვის" ძალიან კარგი შედეგი იქნება.

**კოპენჰაგენი-ბენფიკა 0:1 (1:2)**

**კოპენჰაგენი:** კრისტიანსენი, გრავგაარდი, ჰანგელანდი, იენსენი, ჰათჩინსონი, კვისტი, ნორეგაარდი, ზილბერბაუერი, ვიურცი (58. ზიონკო), ოლბაკი, ნორდსტრანდი (73. ალმეიდა).

**ბენფიკა:** კუიმი, ლეო, ფელიპე, ვიტორი, ნელსონი (46. ნუნუ ასისი), კაცურანისი, პეტიტი, რუი კოშტა, კარდოზო, დი მარია (73. რიბეირო), ნუნუ გომეში (90. ბერხესიო).

**გოლი:** 0:1 კაცურანისი (18)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 39 711

წესით, რთული მატჩის გადატანა ელოდა "ბენფიკასაც", რომელმაც პირველ მატჩში გამოუყენებელი ათამდე საგოლე მომენტების გამო, საქმე თავადვე გაირთულა. იმ შეხვედრაში, "არწივები" გამარჯვებას **რუი კოშტას** დუბლს უნდა უმადლოდნენ. ვეტერანმა თავისი სიტყვა დანიურ მატჩშიც თქვა. ამჯერად, მან საგოლე კომბინაცია წამოიწყო. მისგან ბურთი **კარდოზომ** მიიღო, დამაგვირგვინებელი დარტყმა კი **კაცურანისმა** შეასრულა.

**ელფსბორგი-ვალენსია 1:2 (0:3)**

**ელფსბორგი:** ვილანდი, აუგუსტსონი, ბიორკი, კარლსონი (74. ანდერსონი), მობეკი (19. მობეკი), ილოლა (64. მ. სვენსონი), ა. სვენსონი, ალექსანდერსონი, ავდიჩი, ბერგლუნდი, კინი.

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, ალბიოლი, კანეირა, ივან ელგერა, მარჩენა, მორეტი (85. ალექსისი), გავილანი, ხოაკინი, დავიდ სილვა (62. ვილია), სანი, მორიენტესი (57. არისმენდი).

**გოლები:** 0:1 ივან ელგერა (5), 1:1 ალექსანდერსონი (31), 1:2 ვილია (90)

**მაყურებელი:** 13 148

"ვალენსიას" საქმე პირველ მატჩში ჰქონდა მოთავებული და კოკე ფლორესმაც, ბუროსში ნაწილობრივ ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა. "ელფსბორგი" მოედანზე ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე გავიდა და წინასთან შედარებით, თამაშიც ბევრად უკეთ გამოუვიდა. მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეს გუნდი რომ "ვალენსიას" ვერ დაამარცხებდა, ამას ლაპარაკი რად უნდა? ნამატჩევს, "ელფსბორგის" მწვრთნელმა **მაგნუს ჰაგლუნდმა** გულახდილად თქვა - წაგება არაფერია, ესპანურ გრანდთან ორრაუნდიანი დაპირისპირებით იმხელა გამოცდილება შევიძინეთო...

**არსენალი-სპარტა 3:0 (2:0)**

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, ჰოიტი, სენდეროსი, კოლო ტურე, ჟილბერტო სილვა, დიაბი (68. ფაბრეგასი), როსიცკი (73. დენილსონი), ედუარდო სილვა, ვან პერსი (68. ადებაიორი), უოლკოტი.

**სპარტა:** პოშტულკა, აბრაჰამი, ჰუშეკი, კადლეცი, კლადრუბსკი (77. ლიმბერსკი), რეჟეპკა, ჰორვატი, პოსპეში, დოჟეკი, კულიჩი (46. ცოფჩაკი), რეჟეკი (73. კოლარი).

**გოლები:** 1:0 როსიცკი (7), 2:0 ფაბრეგასი (82), 3:0 ედუარდო სილვა (89)

**მაყურებელი:** 58 462

პირველი მატჩის შედეგმა **არსენ ვენგერსაც** მისცა სათადარიგო მოთამაშეთა შემოწმების საშუალება. თუმცა მთავარი სიტყვა მაინც ძირითადმა ბირთვმა თქვა. ანგარიში **როსიცკიმ** გახსნა. თავისი ყოფილი გუნდი მან **ჰოიტისა და უოლკოტის** დახმარებით დაამწუხრა. სხვათა შორის, **ფაბრეგასის** გამოსვლამდე, "მეთოფეებს" შუა ხაზში საგრძნობლად უჭირდათ. **პოსპეშსა და ჰორვატს** მოედნის ამ ნაწილში მეტოქეზე საგრძობი უპირატესობა ჰქონდათ. მაგრამ მერე სესკმა ყველაფერი დაალაგა. **ედუარდო სილვას** ჩაწოდებით მან მეორე გოლი გაიტანა, ხოლო საბოლოო წერტილი იმავე სილვამ დასვა.

**სელტიკი-სპარტაკი 1:1. პენ 4:3 (1:1)**

**სელტიკი:** ბორუცი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი (110. ო'დეი), უილსონი, ბრაუნი, დონატი, მაკგიდი (104. რიორდანი), ნაკამურა, მაკდონალდი (97. ჟურავსკი), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი.

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, შიშკინი, შტრანცლი, ბისტროვი (95. კალინიჩენკო), კოვაჩი, მოცარტი, სოავა, ტიტოვი, ტორბინსკი (100. ბოიარინცევი), პავლიუჩენკო, ველიტონი (88. დედურა).

**გოლები:** 1:0 მაკდონალდი (27), 1:1 პავლიუჩენკო (45)

**გამოუყენებელი პენალტი:** პავლიუჩენკო (26), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (115)

**გაძევება:** შტრანცლი (85. სპარტაკი)

**მაყურებელი:** 65 000

გლაზგოს მატჩი ძალზე საინტერესოდ და ორმხრივ იერიშებში წარიმართა. ფინალიც შესაფერისი იყო. "სელტიკმა" გამარჯვება საპენალტო დრამის შედეგად მოიპოვა, თუმცა მანამდეც, მოედანზე ანალოგიური სიტუაცია სუფევდა. ის იყო, **პავლიუჩენკოს** 11-მეტრიანი **ბორუცმა** მოიგერია, რომ **მაკდონალდმა** "სპარტაკის" კართან შექმნილი არეულობითა და **შიშკინის** უნიათობით ისარგებლა - 1:0. მომენტები ორივე კართან იქმნებოდა და ზემოთ ბორუცი რომ ვაქეთ, ისიც ვთქვათ, რომ მისმა ხორვატმა კოლეგა **პლეტიკოშამაც** რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია. პენალტების სერიამდე, საკვანძო მომენტი იყო სპარტაკელთა კარში დანიშნული 11-მეტრიანი, რომელიც **ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა** ხარიხას მოარტყა. სამაგიეროდ, "სელტიკის" ფორვარდის შეცდომა პენალტების სერიაში ბორუცმა ორმაგად გამოასწორა.

**რუსენბორგი-ტამპერე 2:0 (3:0)**

**რუსენბორგი:** ჰირშფელდი, ბასმა, დორსინი, კოპინენი (46. სკილბრედი), რიზეტი, კონანი, საპარა (76. ივერსენი), სტრანდი (19. სტოორი), ტეტეი, ტრაორე, კონე.

**ტამპერე:** კავენი, იარვინენი (74. ნვოკე), ლინდსტრიომი, კუიალა, ნიემი, ოიანპერა, საარინენი (46. აჰო), სავოლაინენი, ვისი, პეტრესკუ (86. ჰელმი), პოჰია.

**გოლები:** 1:0 საპარა (45), 2:0 კონანი (49)

**მაყურებელი:** 14 123

**აეკ-სევილია** *3 სექტემბერს*



შახტარი-ზალცბურგი. ბრანდაუს გააქვს გამარჯვების გოლი ავსტრიელთა კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის სუპერთასი

# სევილია მილანთან პუერტასთვის ითამაშებს

## პლატინი ტრაგედიაზე საუბრისას გადატვირთულ საფეხბურთო კალენდარს ახსენებს...

სევილიელი **ანტონიო პუერტას** გარდაცვალებას უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** გამოეხმაურა: *"მსგავსი ტრაგედიის შემდეგ არაერთხელ ვიტყვით, რომ ეს გადატვირთული კალენდრის ბრალია. თითქოს მის განტვირთვას ვცდილობთ. სინამდვილეში კი თამაშებს თამაშები ემატება. ჩემპიონთა ლიგაში ადრინდელზე მეტ მატჩებს ვმართავთ, ეროვნული ფედერაციები ლიგის თასს ათამაშებენ. სამწუხაროდ, სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ფეხბურთელებს მეტი და მეტი მატჩის ჩატარება უწევთ."* ანტონიო პუერტას გასულ შაბათს, "ხეტაფესთან" მატჩისას გული გაუჩერდა. ექიმებმა მისი მოსულიერება შეძლეს. ფეხბურთელმა მინდორი საკუთარი ფეხით დატოვა, მაგრამ გასახდელში მეორე ინფარქტი დაემართა და სამშაბათს საავადმყოფოში გარდაიცვალა.



პუერტას უკანასკნელ გზაზე აცილებენ

პუერტას დალუპვის გამო აეკ-"სევილიის" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი საკვალიფიკაციო მატჩი გადაიდო. შეხვედრა ორშაბათს გაიმართება. დღეს სევილიელები "მილანს" ევროპის სუპერთასზე შეხვდებიან. ამ თამაშსაც გადადება ემუქრებოდა. მილანელები ყველანაირ დათმობაზე თანახმანი იყვნენ, მაგრამ ანდალუსიელებმა ძალები მოიკრიბეს და გადაწყვიტეს, სუპერთასის მატჩი გარდაცვლილ მეგობარს მიუძღვნან. გუშინ, "სევილია" მთელი შემადგენლობით მონაკოში გაემგზავრა. გუნდთან ერთადაა **დანიელ ალვეშიც**. გასულ კვირაში ბრაზილიელმა მცველმა ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა და პროტესტის ნიშნად "ხეტაფესთან" მატჩი გამოტოვა. ის "მილანთან" პუერტას ხსოვნისათვის ითამაშებს.

მონაკოში გამგზავრების წინ პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** გულის ამაჩუყებელი კომენტარი გააკეთა: *"ანტონიოს სიკვდილმა გაგვანადგურა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. დღეიდან "სევილია" გაათმაგებული ძალით ითამაშებს, რადგან ანტონიოს სული მუდამ მის გვერდით იქნება. დიახ, ამიერიდან 12 ფეხბურთელით გავალთ მინდორზე. სუპერთასს კიდევ ერთხელ მოვიგებთ და მას ანტონიო პუერტას მივუძღვნით. არ დაგიმალავთ, ვფიქრობდით, რომ ეს თამაშიც გადაგვედო. "მილანმა" ჩვენი ტრაგედია გულთან ახლოს მიიტანა. მაგრამ გავითვალისწინეთ მძიმე კალენდარი და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საუკეთესო გამოსავალი სუპერთასის დროულად ჩატარება იქნებოდა."*



იენს ლემანი

არსენალი

# ლემანი ახალ სამსახურს ეძებს

"თაიმსის" ცნობით, **იენს ლემანი** ახალ სამსახურს ეძებს. გერმანელ მეკარეს აქილევსის მყესის ტრავმა აქვს. ის ინგლისთან ამხანაგურ მატჩში (2:1) დაშავდა. 37 წლის გოლკიპერი სამკურნალოდ სამშობლოში გაემგზავრა. მის არყოფნაში, გასულ უქმეებზე, "მანჩესტერ სიტისთან" **მანუელ ალმუნიამ** ითამაშა. კვირას, "პორტსმუთთან" მატჩშიც, "მეთოფეების" კარს ესპანელი დაიცავს. ინგლისელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ლემანს გამოჯანმრთელების შემდეგაც კარგა ხანს არ მოუწევს მინდორზე გასვლა. მან წლევანდელი სეზონის პირველ ორ მატჩში ორი უპატიებელი შეცდომა დაუშვა. ამათგან, მეორე შეცდომა "ბლექბერნთან" ლონდონელებს ორი ქულის ფასად დაუჯდათ.

იენსს "არსენალთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება არ შეუთავაზებიათ.ამიტომაც მეკარემ შევბულებით ისარგებლა და რამდენიმე გერმანულ კლუბს შეეხმიანა. ის შიშობს, რომ "არსენალის" ძირითადიდან ამოვარდნა მის სანაკრებო პოზიციებსაც შეასუსტებს. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა. ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათი რჩება. უფრო სავარაუდოა, რომ ლემანი "არსენალს" იანვრის ტრანსფერებისას გამოეთხოვება, რათა ევროპის ჩემპიონატისათვის საჭირო სათამაშო პრაქტიკა დააგროვოს.

გალაქტიკო

# ბექჰემი ისევ დაშავდა

## ის ერთი თვე დაისვენებს და ინგლისს ვერაფრით დაეხმარება

**დევიდ ბექჰემი** ისევ დაშავდა. ოთხშაბათს, სუპერლიგის ფინალში "ლოს ანჯელეს გალაქსი" მექსიკურ "პაჩუკას" შეხვდა. 30-ე წუთზე ინგლისელი გალაქტიკო მეტოქეს შეეჯახა და წაიქცა. მან მაშინვე შეცვლა ითხოვა. ბექზს მუხლის მყესები დაეჭიმა. ამიტომ რამდენიმე კვირის გამოტოვება მოუწევს. ნამატჩევს დევიდმა თქვა: *"ალბათ, უკეთესია, მოვიცადო, სანამ ბოლომდე გამოვჯანმრთელდები და მხოლოდ ამის შემდეგ დავუბრუნდე მინდორს."*

ბექჰემის ტრავმა "გალაქსის" ერთადერთი დანაკარგი არ ყოფილა. დაშავდა ლოსანჯელესელთა კაპიტანი **ლენდონ დონოვანიც**. "პაჩუკამ" კი პენალტების სერიაში 4:3 მოიგო. ოვერტაიმში დევიდი სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა. როცა მას მეორე ადგილისათვის განკუთვნილი მედალი ჩამოჰკიდეს, მაშინვე მოიხსნა იმის ნიშნად, რომ დამარცხება არ უყვარს. "გალაქსის" გადამწყვეტ პენალტი პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა მცველმა **აბელ შავიერმა** ააცილა. მთავარმა მწვრთნელმა **ფრენკ იალოპმა** შეგირდებს თავდადებული თამაშისათვის მადლობა გადაუხადა.

სუპერლიგა "გალაქსის" ერთადერთი შანსი იყო. ლოსანჯელესელები სხვა ტიტულისათვის ვერ იბრძოლებენ. გუნდს MLS-ის ფლეი ოფში გასვლის მიზერული შანსი აქვს, რადგან დასავლეთის კონფერენციაში ბოლოდან მეორე ადგილი უკავია. 18 მატჩიდან მან მხოლოდ 3 მოიგო, 10 წააგო და 5 ფრედ დაასრულა. "გალაქსი" მორიგ მატჩს უიმედო აუტსაიდერ, სოლ ლეიკ სიტის "რეალთან" გამართავს. ამ თამაშის მეორე დღეს ბექჰემი ინგლისში უნდა გამგზავრებულიყო. მას ნაკრების შეკრება ელოდა, მაგრამ ტრავმის გამო ამერიკაში დარჩენა მოუწევს. ექიმების ვარაუდით, მას 4-6 კვირა გაუცდება.



დევიდ ბექჰემი

აქვე გეტყვით, რომ სუპერლიგის ჩემპიონის ტიტული მეოთხე იყო, რომელიც მექსიკურმა "პაჩუკამ" ამ სეზონში მოიპოვა. მან მექსიკის პირველობაც მოიგო, კონკაკაფის ჩემპიონთა თასიც და კოპა სუდამერიკანაც, რაც ლათინოამერიკულ ქვეყნებში ევროპული უეფას თასის ანალოგია. სეპურლიგა წელს პირველად ჩატარდა. მასში შეერთებული შტატებისა და მექსიკის ოთხ-ოთხმა საუკეთესო კლუბმა ითამაშა. გამარჯვებულს, თასის გარდა, 1 მილიონი დოლარიც ერგო.



ჯო კოული

ჩელსი. ტრანსფერები

# ჯო კოული მოურინიოს წინააღმდეგ?

## ჟოზე ორ გარემარბს, კვარეშმასა და დოს სანტოსს უმიზნებს...

"დეილი მეილის" ცნობით, გასულ უქმეებზე "პორტსმუთთან" ნამატჩევს **ჯო კოული ჟოზე მოურინიოს** შეეკამათა. ნახევარმცველი ინგლისის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრია. "ჩელსიში" კი, ოთხი მატჩიდან მხოლოდ ორში ათამაშეს და ორჯერვე შეცვლაზე. მან "პორტსმუთთან" მინდორზე მხოლოდ 15 წუთი გაატარა. გასახდელში ჩასვლისას მწვრთნელს უსაყვედურა, მოურინიომ კი მიუგო, კეთილი ინებე და დააფასე, რომ "ჩელსიში" ხარო. ჟოზე შეგირდებისაგან შენიშვნების მოთმენას არ აპირებს. ინგლისელმა მიმომხილველებმა კოულის ლონდონური მომავალი უმალ ეჭვქვეშ დააყენეს. ჯო "ჩელსიში" 2003 წლის ზაფხულში "ვესტ ჰემიდან" გადავიდა. "ჩაქუჩებმა" 6. მილიონი გირვანქა მიითვალეს. "ვესტ ჰემი" გარემარბს დღესაც სიამოვნებით დაიბრუნებდა. ის იმ იშვიათ კლუბთაგანია, რომელსაც შეუძლია, ფეხბურთელს ხელფასი შეუნარჩუნოს. "ჩელსი" კოულს კვირაში 80 ათას გირვანქას უხდის. "არისტოკრატებს" შესაძლო ტრანსფერზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

"სანი" იუწყება, რომ პორტუელი **რიკარდო კვარეშმა** "სტემფორდ ბრიჯზე" გადადის. მოურინიო **არიენ რობენის** შემცვლელს ეძებს. "ჩელსის" კიდევ ერთი გარემარბის დაკარგვა ემუქრება. **შონ რაიტ-ფილიპსი** "ტოტენჰემში" წასვლას აპირებს. ასეთ შემთხვევაში, კვარეშმას ტრანსფერი საკვანძო მნიშვნელობას შეიძენს. ჟოზეს ის, დიდი ხანია, მიზანში ჰყავს ამოღებული. "პორტუს" 8 მილიონ გირვანქას და **პაულუ ფერეირას** სთავაზობენ. პორტუგალიური კლუბი კი 25 მილიონს ითხოვსო, წერს "სანი". კლუბებს შესათანხმებლად რამდენიმე საათი აქვთ.

კიდევ ერთი შემტევი ნახევარმცველი, რომელმაც "ჩელსის" ყურადღება მიიპყრო, ბარსელონელი **ჯოვანი დოს სანტოსია**. "სანში" ვკითხულობთ, რომ დოს სანტოსს იმ შემთხვევაში იყიდიან, თუ "ბარსა" რონალდინიოს გაშვებაზე უარს იტყვისო. ბრაზილიელი საარაკო თანხა, 85 მილიონი გირვანქა ღირს. ახალგაზრდა მექსიკელი კი ოთხჯერ იაფი, 20 მილიონი. ამ ასაკის ფეხბურთელისათვის 20 მილიონიც დიდი ფულია, მაგრამ წლევანდელი ზაფხული ის იშვიათი შემთხვევაა, როცა "ჩელსიმ" ტრანსფერებით უფრო მეტი ფული იშოვა, ვიდრე დახარჯა. "არისტოკრატებმა" 7 მილიონი გირვანქა გააკეთეს. დოს სანტოსთან დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ რონალდინიოს კვალად, მან ესპანური პასპორტი აიღო და ევროკავშირის ქვეყნებში უცხოელად აღარ ითვლება.

### ანელკა ბოლტონში რჩება

**ნიკოლა ანელკამ** გადაწყვიტა, წერტილი დაუსვას სპეკულაციებს "ბოლტონიდან" შესაძლო აბარგების შესახებ. ფრანგმა ფორვარდმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის ფორვარდი "რიბოკ სთედიუმზე" 2011 წლამდე დარჩება. ის "ბოლტონში" ერთი წლის წინათ "ფენერბაჰჩედან" 8 მილიონ გირვანქად გადავიდა. ნიკოლამ 35 მატჩში 11 გოლი შეაგდო. მას სხვადასხვა დროს "არსენალში", "ლივერპულსა" და "მანჩესტერ სიტიში" უთამაშია. მიმომხილველები ფორვარდს "იუნაიტედში" ან "სიტიში" ტრანსფერს უწინასწარმეტყველებდნენ.

### პლატინის ლიგის ფინალი უქმეებზე სურს

უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სურს, ჩემპიონთა ლიგის ფინალი უქმეებზე გაიმართოს: *"ათენში ყოფნისას გამაკვირვა იმან, რომ ტრიბუნებზე თითქმის არ იყვნენ ოჯახები და ბავშვები. თამაში რომ დასვენების დღეს გამართულიყო, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა სურათი იქნებოდა."* ჩემპიონთა თასი (1992 წლიდან ჩემპიონთა ლიგა) 1956 წლის შემდეგ თამაშდება. 51 წელია, ტურნირის ფინალი ოთხშაბათ დღეს იმართება. ვნახოთ, დაირღვევა თუ არა ტრადიცია.

### ოუენის პირველი გოლი 16 თვეში

ოთხშაბათს, "ნიუკასლმა" ლიგის თასის მეორე რაუნდში "ბარნსლის" 2:0 მოუგო. ერთი გოლი **მაიკლ ოუენმა** გაიტანა. ეს მისი პირველი გოლი იყო 2005 წლის 17 დეკემბრის შემდეგ. იგულისხმება ჯორდების ოფიციალურ მატჩებში გატანილი გოლები, თორემ მაიკლმა ტრავმის მოშუშების შემდეგ "ნიუკასლის" მეორე გუნდშიც შეაგდო. 2005 წლის დეკემბერში ოუენმა "ვესტ ჰემთან" ჰეთ თრიკი შეასრულა. ორი კვირის შემდეგ ტერფის ძვალი გაიტეხა, მომდევნო ზაფხულს, მუნდიალზე მუხლის მყესები გაიწყვიტა და მთელი ერთი წლით ჩამოშორდა მინდორს. ოუენი კარიერას, ფაქტობრივად, თავიდან იწყებს. "ბარნსლისთან" ის 82-ე წუთზე შეცვალეს. მეორე გოლი მის ნაცვლად გამოსულმა **ობა მარტინსმა** გაიტანა. "ნიუკასლი **სემ ელერდაისის** დანიშვნის შემდეგ დაწყებულ წაუგებელ სერია აგრძელებს.

### ჯენასის ახალი კონტრაქტი

**ჯერმეინ ჯენასმა** "ტოტენჰემთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის გუნდში 2012 წლამდე დარჩება. 24 წლის ნახევარმცველი "უაით ჰართ ლეინზე" 2005 წელს, "ნიუკასლიდან" გადავიდა. ჯორდებმა მის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა მიიღეს. განვლილ ორ წელიწადში ჯენასმა 59 მატჩი ჩაატარა და 13 გოლი შეაგდო. მის სანაკრებო აქტივში 17 მატჩია. ფეხბურთელი ამბობს, რომ კარიერის დასრულებას "ტოტენჰემში" აპირებს. მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ იოლმა** ჯენასთან შეთანხმებით კმაყოფილება ვერ დამალა.

### იაკუბუ ევერტონში ჩაირიცხა

"ევერტონმა" მიზანს მიაღწია. ნიგერიელი თავდამსხმელი **იაკუბუ აიეგბენი** "გუდისონ პარკზე" ითამაშებს. ის ლივერპულელებთან ხუთწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. "მიდლსბროს" კი, კომპენსაციის სახით, 11.25 მილიონი გირვანქა შეხვდება. იაკუბუს ტრანსფერი ერთი კვირის განმავლობაში ჰაერში იყო გამოკიდებული. ბრიტანეთის მთავრობა მისთვის ახალი სამუშაო ვიზის გაცემას არ აპირებდა. ფეხბურთელის ადვოკატებს აპელაციის შეტანაც კი დასჭირდათ. აღსანიშნავია, რომ პრემიერლიგის ბოლო ოთხ სეზონში, **ტიერი ანრის** შემდეგ, იაკუბუმ ყველაზე მეტი - 53 გოლი გაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამპერის თასი. ფინალი

# ინტერმა ეტოო იმსხვერპლა

## ნერაძურიმ კატალონიურ გიგანტს ერთადერთი ზიანი მიაყენა, კამერუნელი ფორვარდი გუნდს ორი თვით ჩამოშორდა

**ბარსელონა-ინტერი 5:0**

**ბარსელონა:** ჟორკერა (46. ვალდესი), ძამბროტა (46. მილიტო), მარკესი (46. ტურამი), ოლეგერი, აბიდალი (46. სილვინიო), ტურე (67. კროსასი), ჩავი (46. ინიესტა), დეკუ, ჯოვანი (46. მესი), რონალდინიო (46. ეტოო, 51. მოტა), ანრი.

**ინტერი:** ტოლდო (63. ალფონსო), ბურდისო, რივასი, კივუ (87. ფილიპინი), სესარი (86. პედრელი), კამბიასო, პელე (46. ატილა), სოლარი (67. ფატიჩი), ხიმენესი (60. მაარუტი), კრესპო (60. რეკობა), ადრიანო (60. ბალოტელი).

**გოლები:** 1:0. რონალდინიო (7-პენ), 2:0. ჯოვანი (12), 3:0. ტურე (38), 4:0. ინიესტა (56), 5:0 მოტა (79).

გამპერის თასის წლევანდელი გათამაშება, წინამორბედებისგან განსხვავებით, ძალიან უბრალო და სევდიანი გახლდათ. **ანტონიო პუერტას** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო, "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ ყველა სადღესასწაულო ღონისძიება გააუქმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ინტერთან" მატჩმა სამგლოვიარო ატმოსფეროში ჩაიარა. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა. 22 წლის სევილიელის სიკვდილმა არა მარტო ესპანეთი, არამედ მთელი მსოფლიო შეძრა. სოლიდარობისა და წუხილის გამოხატვის მიზნით, თამაშის დაწყებამდე "ბარსას" ფეხბურთელები "სევილიის" მაისურებში გამოწყობილები გამოცხადდნენ. უკლებლივ ყველა მოთამაშეს პუერტას მაისურა ეცვა. "კამპ ნოუზე" შეკრებილმა საზოგადოებამ ანდალუსიელს წუთიერი დუმილით პატივი მიაგო.



ბარსა გოლს ზეიმობს

გულშემატკივრები დაძაბულ ორთაბრძოლას ელოდნენ, მაგრამ "ინტერმა" ხალხს დიდი იმედგაცრუება მოუტანა. იტალიურმა გრანდმა მასპინძლებს მინიმალური წინააღმდეგობაც ვერ გაუწია. გასაგებია, რომ ეს ამხანაგური შეხვედრა იყო და **მანჩინიმ** შესუსტებული შემადგენლობა გაიყვანა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ "ნერაძური" კატალონიაში დასამცირებლად და სახელის შესაბღალად ჩავიდა. **ფრანკ რიიკაარდმა** ძირითადი შემადგენლობის დაკომპლექტებისას ექსპერიმენტებს მიმართა. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ფეხბურთელებს, რომლებიც ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობას ვერ ახერხებენ, შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი მისცა. ეს, პირველ ყოვლისა, **ჟორკერაზე, ოლეგერსა და ჯოვანიზე** ითქმის. დამრიგებლის მიერ გაცემული ავანსები სამივე მათგანმა პირნათლად გაამართლა, თუმცა ყველაზე მეტად გამორჩეული მაინც ჯოვანი დოს სანტოსი გახლდათ. ბრაზილიური წარმოშობის მექსიკელმა ფორვარდმა ფანტასტიკურად იასპარეზა და გულშემატკივრების აღფრთოვანება დაიმსახურა. სპეციალისტებს კი ერთი მნიშვნელოვანი პარალელის გავლება არ დავიწყებიათ. **ლეო მესი** კატალონიური ინჩადის წინაშე მთელი ბრწყინვალებით პირველად სწორედ გამპერის თასზე წარსდგა. "ბარსა" მაშინ "იუვენტუსს" ებრძოდა. **ფაბიო კაპელომ** ახალგაზრდა არგენტინელის თამაშით გამოწვეული აღტაცება არ დამალა და ლეოს მომავლის კაშკაშა ვარსკვლავი უწოდა. წლევანდელმა გამპერის თასმა კი ახალი ვარსკვლავი შვა. ჯოვანის ასპარეზობამ არა მარტო კატალონიელი და ესპანელი, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ჟურნალისტები გადარია. უდავოა, "ბარსას" სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება იმისთვის, რომ მექსიკელი მარგალიტი კიდევ მრავალი წლით შეინარჩუნოს. ცნობილია, რომ ჯოვანის მულტიმილიარდერმა **რომან აბრამოვიჩმა** დაადგა თვალი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, "ინტერმა" "ბარსას" მინიმალური წინააღმდეგობაც ვერ გაუწია. იტალიელთა განადგურებას **რონალდინიომ** ჩაუყარა საფუძველი. გაუჩომ პენალტი გაიტანა. ზუსტად ხუთ წუთში **ფრანჩესკო ტოლდოს** კართან მორიგი სახიფათო მომენტი შეიქმნა. **იაია ტურემ ჩავისა** და ჯოვანის მიერ წამოწყებული იერიში დააგვირგვინა. პირველი ტაიმის მიწურულს კი ჯოვანი დოს სანტოსმა ულამაზესი გოლით "კამპ ნოუ" გააოცა. ამით თითქოს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ "ბარსელონა" არ დაცხრა და შესვენების შემდეგ **ინიესტამ** და **მოტამ** ანგარიშს გამანადგურებელი სახე მისცეს. ალბათ, "ინტერისთვის", იტალიის მოქმედი ჩემპიონისთვის ეს სალამო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო იქნება.

რომ არა ერთი ავბედითი გარემოება, კატალონიელებისთვის გამპერის თასი პირიქით, ყოველმხრივ ტკბილადმოსაგონარი გახდებოდა. უბედურება კი ის არის, რომ შეხვედრის 49-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **სამუელ ეტოომ** მძიმე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. მოგვიანებით ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ კამერუნელ ფორვარდს მარჯვენა ფეხის მყესი გაუწყდა. ექიმების პროგნოზით, მათი პაციენტის განკურნებას სულ მცირე ორი თვე დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი პასუხისმგებლობა **ტიერი ანრის** დააწვება. ფრანგ ვარსკვლავს ცენტრ-ფორვარდის ფუნქციების შესრულება მოუწევს. არ შეიძლება რიიკაარდის ის ინტერვიუ არ გაგვახსენდეს, რომელშიც ჰოლანდიელი სპეციალისტი სეზონის ხანგრძლივობასა და ტრავმების შესაძლებლობებზე საუბრობდა. ბატონი ფრანკი აცხადებდა, ანრის ტრანსფერი პრობლემა კი არა, ბედნიერებააო. მართლაც, **ჩიკი ბეგირისტაინს** ფრანგი რომ არ გადაებირებინა, მომდევნო ორი თვის განმავლობაში **ეიდურ გუდიონსენი** ითამაშებდა. დასამალი არ არის, რომ ისლანდიელი თავდამსხმელი იმ დონის მოთამაშე არ არის, რომელიც "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, კატალონიურ გრანდს ძალიან გაუმართლა, რომ ტიერი ანრი შეიძინა...

საბრალო ეტოო ტრავმით იმდენად სასოწარკვეთილი დარჩა, რომ ჟურნალისტებთან საუბრის ხალისიც კი დაკარგა. კამერუნელმა მხოლოდ ის წაიბუტბუტა, შოკირებული ვარ და არ ვიცი, რა უნდა მოგახსენოთო.

მეორე დღეს ცუდი განწყობა ფრანკ რიიკაარდმაც ვერ დამალა: *"დასანანია, რომ სამუელ ეტოო დაშავდა. თავდაპირველად იმედი გვქონდა, რომ ტრავმა მძიმე არ იქნებოდა, მაგრამ დღეს ჩატარებულმა გამოკვლევამ საპირისპირო გამოააშკარავა. სამუს აუტანელი ტკივილი აწუხებს. როგორც ექიმები მეუბნებიან, გაწყვეტილი მყესის შეხორცებას სულ მცირე ორი თვე დასჭირდება. შესაძლოა, ეტოო სამი თვის განმავლობაში ვერ დაგვეხმაროს. მოგეხსენებათ, ხანგრძლივი უთამაშებლობისა და უვარჯიშებლობის შემდეგ ფეხბურთელს მოსამზადებლად საკმაო დრო სჭირდება. მოკლედ, ძალიან ცუდი ამბავი შეგვემთხვა."*

## არსენალშიც რუსები მიდიან?

"არსენალის" ყოფილმა ვიცე-თავმჯდომარემ **დევიდ დინმა** მის ხელთ არსებული აქციების 14.58 პროცენტი რუს მილიარდერ **ალიშერ უსმანოვს** მიჰყიდა. ამ უკანასკნელმა "მეთოფეების" მოზრდილი ლუკმის სანაცვლოდ 75 მილიონი გირვანქა გადაიხადა. უსმანოვმა და ლონდონელმა ინვესტორმა **ფარჰად მოშირიმ** დააფუძნეს კომპანია, რომელიც საგანგებოდ "არსენალის" აქციების შეძენაზე იმუშავებს. მის თავმჯდომარედ კი დევიდ დინი დაინიშნა. თავის დროზე, დაახლოებით ათი წლის წინ, მისტერ დინმა "არსენალის" აქციები 300 ათას გირვანქად შეიძინა. ამ ხნის განმავლობაში მისი კაპიტალდაბანდება ასტრონომიულად გაიზარდა. "არსენალის" დირექტორები უსმანოვს კარგად იცნობენ. მას "ემირიტს სთედიუმზე" საკუთარი ლოჟაც კი აქვს.

## როი კინის 12 ახალწვეული

**როი კინი** შემადგენლობას აძლიერებს. **ენდი კოულის** შემდეგ, "სანდერლენდმა" ერთწლიანი კონტრაქტი **იან ჰარტსაც** გაუფორმა. 29 წლის ირლანდიელი მცველი თავისუფალი აგენტია. 2004 წელს ის "ლიდსიდან" "ლევანტეში" გადავიდა. ესპანელებთან კონტრაქტი ივნისში დაუმთავრდა და ისევ ალბიონზე ამოჰყო თავი. ჰარტს ირლანდიის ნაკრებში 64 მატჩი აქვს ჩატარებული. მის სანაკრებო აქტივში 11 გოლია. ჰარტი კინის მე-10 ახალწვეულია. "სანდერლენდის" მწვრთნელი ამაზე გაჩერებას არ აპირებს. ფანჯრის დახურვამდე მას კიდევ ორი ფეხბურთელის დამატება უნდა - "სტოკ სიტის" მცველის **დენი ჰიგინბოთემისა** და "საუთჰემპტონის" თავდამსხმელის **კენვინ ჯოუნსის**. აქვე შეგახსნებთ, რომ ოთხშაბათს "სანდერლენდმა" ინგლისის ლიგის თასზე ფიასკო იწვნია: მან ქვედა დივიზიონის "ლუტონთან" 0:3 წააგო. გასული სეზონის მიწურულს "კატებმა" ამ გუნდს 5:0 მოუგეს და პირველი დივიზიონის ჩემპიონობა გაინაღდეს. "ლუტონმა" მეტოქეს სამაგიერო მწარედ გადაუხადა. იმავე მატჩში "სანდერლენდს" კაპიტანი და წამყვანი მცველი **დინ უაიტჰედი** დაუშავდა. მან მუხლის მყესები გაიწყვიტა და ექვსი თვე ვერ ითამაშებს.

## ზენიტი: კეჟმანი თექეს ნაცვლად

თურქეთის ნაკრების თავდამსხმელი **ფათიჰ თექე** "ზენიტიდან" "ფენერბაჰჩეში" გადადის. კლუბები მოლაპარაკებების დასკვნით სტადიაში არიან. "ფენერმა" "ანდერლეხტის" ბარიერი გაიარა და ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. კლუბმა თექეს ათნომრიანი მაისურები უკვე დაამზადა და საკლუბო მაღაზიებში მის გაყიდვას შეუდგა. პეტერბურგელებმა სანაცვლოდ შეიძლება სერბი თავდამსხმელი **მატეა კეჟმანი** მიიღონ. მხარეები ტრანსფერის დეტალების გამხელას არ ჩქარობენ.

## ბუმსონგს დონეცკში უხმეს

დონეცკის "შახტარი" "იუვენტუსის" ცენტრალურ მცველ **ჟან ალენ ბუმსონგს** ეპატიჟება. უკრაინულმა გრანდმა "ქალბატონს" ფასის დასახელება შესთავაზა. "იუვეს" ბუმსონგი არ სჭირდება, მაგრამ მის თავიდან მოშორებასაც ვერ ახერხებს. ტურინელებმა ბენფიკელ **ლუიზაოს** დაადგეს თვალი. მათ ლისაბონელებს ბუმსონგი და რამდენიმე მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ ფეხბურთელმა პორტუგალიაში თამაში არ ისურვა. საეჭვოა, მან აღმოსავლეთ ევროპაში გადასვლა ინდომოს.

## ბერეზუცკები არმიიდან ევროპაში

ცსკა-ს მცველებმა **ალექსეი** და **ვასილი ბერეზუცკებმა** დასავლეთ ევროპული კლუბების ყურადღება მიიპყრეს. 25 წლის ტყუპებს ინგლისსა და გერმანიაში ეპატიჟებიან. ალექსეი მარცხენა ცენტრალური მცველია, ვასილი - უნივერსალი და დაცვასა და ნახევარდაცვაში თანაბარი წარმატებით თამაშობს. ალექსეის "ფულჰემმა", "ბოლტონმა" და "სელტიკმა" დაადგეს თვალი. მის ძმას კი დორტმუნდის "ბორუსიამ" სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. მოსკოველი არმიელები თითოეულის სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს ითხოვენ.

## პირველი ტრანსფერი ტრაგედიის შემდეგ

**ანტონიო პუერტას** გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი ანდალუსიაში კიდევ დიდ ხანს არ განელდება. "სევილიას" გლოვის დღეები უდგას, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა ვალდებულია, სამომავლო კეთილდღეობაზე ფიქრი წამითაც არ შეწყვიტოს. სახმრეთესპანური კოლექტივის დირექტორებმა გუშინ მორიგი გაჩარხული ტრანსფერის შესახებ განაცხადეს. გაირკვა, რომ "სევილიამ" პსვ-დან 23 წლის ფორვარდი, **არუნა კონე** გადაიბირა. **ხუანდე რამოსი** ფიქრობს, რომ კოტდიუარელი თავდამსხმელი "სანჩეს პისხუანიდან" ასაბარგებლად გამზადებულ **ერნესტო ხავიერ ჩევანტონს** ჩაანაცვლებს. ესპანური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, პირენეელებმა კონეს სანაცვლოდ "ეინდჰოვენს" 2 მილიონი ევრო გადაუხადეს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენს მიიღებს ფეხბურთელი წლიური გასამრჯელოს სახით.

სამეფო კლუბი. უცნაური პრესკონფერენცია

# კანავარო რიიკაარდს პრობლემებს უწინასწარმეტყველებს

**ფაბიო კანავარომ** მოცალეობის ჟამს საკუთარ კომპეტენციას აშკარად გადააჭარბა და **ფრანკ რიიკაარდის** სისუსტეებზე საუბარი გადაწყვიტა. იტალიის ნაკრების მცველმა საკუთარი მოსაზრებები ჟურნალისტებს სამეფო კლუბის ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე გაუზიარა: *"ჩემი აზრით, "ბარსელონის" მთავარ მწვრთნელს დიდი პრობლემები ელის. კატალონიურ გრანდში ისეთმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი, რომელთაც სათადარიგოთა სკამზე დასმას ბევრი ვერ გაუბედავს. ამავდროულად, ოთხივე მათგანის ერთდროულად ძირითად შემადგენლობაში დაყენებაც გამორიცხულია. რომელ ერთს უნდა დაადო ხელი, რონალდინიოს, მესის, ეტოოსა თუ ანრის? ბუნებრივია, თითოეულ მათგანს სისტემატიურად თამაშის ამბიცია გააჩნია. გასაგებია, რომ ამ ოთხეულს შეტევაში ფანტასტიკურად თამაშის უნარი შესწევს, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდი თანაბრად უნდა იყოს დაბალანსებული. შეუძლებელია, ყველა უტევდეს და თავს არავინ იცავდეს. ასევე შეუძლებელია, შემადგენლობაში მხოლოდ მაღალი დონის მცველები ასპარეზობდნენ. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვივარაუდო, რომ ფრანკ რიიკაარდს სერიოზული პრობლემები არ ასცდება. გამორიცხული არ არის, ის საზოგადოების ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდეს და იძულებული გახდეს, ოთხივეს ძირითადში უკრას თავი. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, რონალდინიოს, ეტოოს, მესისა და ანრის უკან დახევა და ნახევარმცველის მძიმე ფუნქციების შესრულება მოუწევთ. ეს კი იმდენად დიდი ტვირთია, რომ ხსენებული კვარტეტი გადაულახავ ბარიერებს წააწყდება."*

აღსანიშნავია, რომ კანავარომ ეს პრესკონფერენცია ჯერ კიდევ მაშინ გამართა, როცა **სამუელ ეტოოს** ტრავმასთან დაკავშირებით ბოლო ინფორმაცია არ იყო გავრცელებული. ახლა უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ კამერუნელი ფორვარდი "ინტერთან" მატჩში მიღებული ტრავმის გამო, ორი თვით იძულებით შვებულებაში გავიდა. აქედან გამომდინარე, კანავაროს ვარაუდს სულ მცირე სწორედ ორი თვის განმავლობაში არ უწერია გამართლება. ისე კი "რეალის" მცველის გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის, "ბარსელონა" როგორ პოლიტიკას აწარმოებს. მისი პრესკონფერენცია, როგორც მინიმუმ, კოლეგების უპატივცემულობაზე მიანიშნებს.




ბარსელონა

# ნაიკთან ერთად 2018 წლამდე

## ამერიკული კომპანია კატალონიურ გრანდს 330 მილიონს გადაუხდის

გუშინ, "ბარსელონის" ოფისში კატალონიური გრანდის ყველაზე გავლენიანი სოსიოები შეიკრიბნენ და გუნდისთვის საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრამ კონკრეტული შედეგი გამოიღო. გადაწყდა, რომ "ბარსა" "ნაიკთან" თანამშრომლობას 2018 წლამდე გააახანგრძლივებს. **ფრანკ რიიკაარდის** გუნდთან ურთიერთობის სურვილს თითქმის ყველა მოწინავე კომპანია გამოთქვამდა. თითქოს საუკეთესო შანსებს "ადიდასი" ფლობდა, მაგრამ "ნაიკმა" ბოლოს კატალონიელებს ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი შესთავაზა და კონკურენტები გზიდან ჩამოიცილა. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული კომპანია "ბარსელონას" სპონსორობას მომდევნო 11 წლის განმავლობაში გაუწევს. "ნაიკი" პირენეული გიგანტის ანგარიშზე მთლიანობაში 330 მილიონ ევროს გადარიცხავს. დაგვეთანხმებით, ეს არ არის ხელწამოსაკრავი თანხა. წლიური 30 მილიონი ევრო "ბარსას" ხელმძღვანელებს საშუალებას მისცემს, სულ მცირე ერთი სუპერვარსკვლავი გადაიბიროს. აღსანიშნავია, რომ "ნაიკთან" გაფორმებული ხელშეკრულება პირობების შემდგომ გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

**ხოან ლაპორტა** სოსიოების მხარდაჭერითა და ახალი კონტრაქტის გაფორმებით უზომოდ კმაყოფილი დარჩა: *"ვფიქრობ, ისტორიული გადაწყვეტილება მივიღეთ. "ნაიკმა" შესანიშნავი წინადადებით მოგვმართა. მხოლოდ ამ წყაროდან მომდევნო 11 წლის განმავლობაში 330 მილიონი ევროთი გავმდიდრდებით. საშუალება გვექნება, უმნიშვნელოვანესი პროექტები განვახორციელოთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მემკვიდრეები კეთილად გაგვიხსენებენ და იტყვიან, რომ ხოან ლაპორტამ და მისმა გუნდმა ფანტასტიკური მემკვიდრეობა დაგვახვედრესო. თავს არ ვიქებ, მაგრამ მართლაც შესანიშნავად ვმუშაობთ. წინა ხელისუფლებამ სოლიდური ვალი გვიანდერძა. ეს ვალი ბოლომდე გასტუმრებულია. უფრო მეტიც, "ბარსას" ბიუჯეტში ამდენი ფული არასოდეს ყოფილა. ასე რომ, წინა წლებში ჩვენ არა მარტო ბრწყინვალე სპორტულ შედეგებს, არამედ არანაკლებ შესანიშნავ ეკონომიკურ ეფექტს მივაღწიეთ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

# როგორ, რატომ, ნუთუ წავაგეთ?

**საქართველოს ნაკრების ისლანდიაში წაგებამ უამრავი კითხვა გაგვიჩინა. დღეს მათზე მოკლე პასუხებს შემოგთავაზებთ, ვრცელი მსჯელობა კი 6 სექტემბერს იყოს, როცა გაირკევა, გავალთ თუ არა ფლეი ოფში.**

## შანსი

რა შანსი დაგვრჩა ფლეი ოფში გასასვლელად? - აი, პირველი კითხვა, რაც ისლანდიური ფიასკოს შემდეგ ქართველ ქომაგს გაუჩნდა.

შანსი არის, ოღონდ საქართველოს ნაკრების თამაშზე არაფერია დამოკიდებული: 2 სექტემბერს ფინეთს რომც მოვუგოთ (ასეც უნდა იყოს, რადგან ფინელებს ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული აქვთ. თავს ფლეი ოფისთვის შეინახავენ), 8 მატჩში 6 მოგება დაგვიგროვდება. საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის კი აუცილებელია შვეიცარიამ A ჯგუფში მეორე მატჩშიც წააგოს (ჯერ კვიპროსს მასპინძლობს, შემდეგ - რუმინეთს) და საბოლოოდ 6 მატჩში 4 მოგება მოუგროვდეს. ასეთ შემთხვევაში, ქართველების მოგებათა მაჩვენებელი 75 პროცენტს გაუტოლდება, შვეიცარიისა - 60 პროცენტს. ხოლო, თუ "შვეიცარებმა" რუმინეთსაც მოუგეს და კვიპროსსაც, მაშინ მათი მოგებათა პროცენტი 83-ს შეადგენს და ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, ფლეი ოფში ადგილს ქართველებს წაართმევენ.

"მეორეზე გასვლის შემთხვევაში" იმიტომ ვთქვით, რომ თუკი 5 სექტემბერს რუმინეთს 10 და მეტი ქულის სხვაობით მოუგეს, ჯგუფში პირველ ადგილს სწორედ შვეიცარია დაეპატრონება. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს ფლეი ოფში გასვლის მეორე შანსი რჩება - რუმინელებმა ჯერ შინ უნდა წააგონ ირლანდიასთან, შემდეგ სტუმრად შვეიცარიასთან...

ვფიქრობ, ნათლად წარმოგიდგინეთ ქართველთა ჯგუფიდან მეორეადგილოსნის სტატუსით გასვლის გეგმა. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა საქართველოს ნაკრები წინადადებაში ქვემდებარეობას აბარებს შვეიცარიას, რომელის წესითა და რიგით ირიბი დამატება უნდა ყოფილიყო. თუმცა, შვეიცარიელთა მისამართით ირიბად ცქერაც არ არის გამართლებული - მათაც ჰყავთ NBA-ს წარმომადგენელი **ტაბო სეფოლოშა**, რომელმაც გასული სეზონი "ჩიკაგო ბულზში" გაატარა და საშუალო დ12.2 წუთში 3.6 ქულას აგროვებდა (71 მატჩში). სწორედ ტაბო გახდა ირლანდიაში გამარჯვების მთავარი შემოქმედი 25 აგვისტოს. მასზე იქნება დამოკიდებული რუმინეთან მატჩისა და ქართველების ბედიც...

ყველაზე სავარაუდო ვარიანტი კი ასეთია: შვეიცარია საკუთარ მოედანზე დაამარცხებს რუმინეთს და ორივე გუნდი, თითო წაგებით, თავისუფლად გავა ფლეი ოფში! ჩვენ კი კიდევ 2 წელი ვიყურყუტებთ B დივიზიონში!

შეიძლება გაგიკვირდეთ, მესამე ჯგუფზე რატომ არაფერს ვამბობთ. საქმე ისაა, რომ B ქვეჯგუფში 2-2 წაგება მხოლოდ ბელარუსს და ბრიტანეთს აქვთ (დანარჩენებს 3 ან 6). 5 სექტემბერს ისინი ერთმანეთს მინსკში ეთამაშებიან და წინასწარ ცნობილია, რომ მეორეადგილოსანს მინიმუმ 3 წაგება მოუგროვდება.

## კენი

რა ხასიათზეა, ან რას ფიქრობს **კენ შილდსი** წაგების შემდეგ? - ეს კითხვაც ბევრს დაებადებოდა.

ამ სტატიის წერისას დამიკავშირდა კალათბურთის ფედერაციის პრეს-ატაშე **ზურაბ თალაკვაძე** და მთავარი მწვრთნელის კომენტარი გადმომცა:

*"ისლანდიიდან წაგების მიუხედავად, გუნდში საბრძოლო განწყობაა და ყველანაირად ვემზადებით 2 სექტემბერს ფინეთთან მატჩისთვის. ამ შეხვედრის მნიშვნელობას კარგად ვაცნობიერებთ და მჯერა, რომ ბიჭები ძალას არ დაიშურებენ გამარჯვების მოსაპოვებლად. ისიც გვესმის, რომ ჯგუფიდან გასვლის ბედი მხოლოდ საქართველო-ფინეთის მატჩზე არ იქნება დამოკიდებული - მნიშვნელოვანია, A ჯგუფში როგორ ითამაშებენ შვეიცარია და რუმინეთი. მანამდე თბილისში ვიასპარეზებთ და ვიმედოვნებ, დარბაზი გაივსება და ქართველი ქომაგი ეროვნულ ნაკრებს მხარში ბოლომდე დაუდგება."*

ერთი მხრივ სწორი მიდგომაა - ფინეთთან სერიოზული მატჩის წინ ისლანდიური სირცხვილი თავიდან უნდა ამოვიგდოთ. ვინ იცის, ეგებ ფლეი ოფში რომელიმე ჭუჭრუტანიდან შევძვრეთ...

## ხალხი

მწვრთნელის მოსაზრება გაგაცანით. ალბათ გაინტერესებთ, რას ფიქრობს ხალხი?

გუშინ, 4-5 კაცისგან მოვისმინე, ისლანდიასთან მატჩის მერე ღამე აღარ მძინებიაო.

- ფეხბურთელებზე უარესები კალათბურთელები ყოფილან, ტოპმიოლერის გუნდმა ლუქსემბურგს ვერ მოუგო, შილდსის კოლექტივმა, ისლანდიასთნა წააგო.

- ერთადერთი, კალათბურთელების მეიმედებოდა და მათაც ნაადრევად ჩამიკლეს იმედი...

- ნუთუ ჩვენი საშველი არ არის?

## ზაზა

- რატომ ვერ ითამაშა სათანადოდ ატლანტელმა ზაზა ფაჩულიამ?

ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება არც თავად ზაზას ჰქონდეს, მაგრამ ფაქტაი, რომ წაგების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ფაჩულიასთვის არადამახასიათებელი თამაში იყო. ის ხომ გუნდის ლიდერია და შარშან ფინეთსა და ავსტრიაშიც დაამტკიცა, რომ მატჩის ბედი შემოტრიალება მარტოს შეუძლია.

ისლანდიაში, წუთშესვენებისას მასპინძლებს თვალები აშკარად უელავთ, ზაზა კი რამდენჯერაც ტელეეკრანზე ვნახეთ, იმდენჯერ დინჯად იყურებოდა. ვფიქრობ, მას გაბრაზება სჭირდებოდა. შარშან ფინეთთან ზაზას ემოციებმა მაშინ იფეთქა, როცა მეტოქე 20 ქულით გაგვასწრო. ჰოდა, გაბრაზებული ფაჩულია ბურთს რომ მოიგდებდა, კალათის მეტს ვერაფერს ხედავდა. მის ტრიალს ან ფინელთა დაჯარიმება მოსდევდა, ან - ორი ქულა. თუკი მისი დაჭერა სუომელებს გაუჭირდათ, ვეჭვობ, გაბრაზებული "ქორისთვის" ისლანდიელებს მოეხერხებინათ რამე.

...მაგრამ არის მეორე ვარიანტი - შეიძლება ფაჩულიას მწვრთნელმა დაავალა - გუნდზე ითამაშე და სასროლი პოზიციები თანაგუნდელებს გამოუთავისუფლეო. თუ მართლაც ასე იყო, მაშინ კენ შილდსი შემცდარა. ორი თავით მაღლა მდგომი (სიმაღლითაც და პროფესიულადაც) ზაზა დაბალი ისლანდიის წინააღმდეგ მთავარ იარაღად უნდა ქცეულიყო. ისევე, როგორც ჩიკაგოელი **ლუოლ დენგია** ბრიტანელთა ტყვიამფრქვევი - კუნძულელებს თამაშს თამაშზე აგებინებს.




საბედისწერო საჯარიმო

## ნიკა

რატომ თქვა კენ შილდსმა უარი **ნიკა ცქიტიშვილზე**? ეს კითხვა ისლანდიასთან მატჩამდეც ხშირად ისმოდა.

საიტ "ევრობასკეტზე" გამოკითხვაც იყო: სწორად მოიქცა კენ შილდსი როცა ცქიტიშვილი ნაკრებიდან მოკვეთა? აქ კითხვის ფორმულირებაში შესწორებას შევიტან - მწვრთნელმა ცქიტოს უთხრა: ხვალ ვარჯიშზე მოდი და თუ ფლეი ოფში გავედით, მანამდე გუნდსაც შეეწყობი და გათამაშებო. გამოდის, რომ ნიკას ავსტრიასთან, ისლანდიასთან და ფინეთთან მატჩები უნდა გამოეტოვებინა. არა მგონია, მწვრთნელს იგივე ეთქვა სკიტასთვის ორი წლის წინათ, როცა ნიკა NBA-ში თამაშობდა. მართლაც, ზუსტად ორი წლის წინ ცქიტიშვილი **შემონდ უილიამსთან** და ზაზა ფაჩულიასთან ერთად ნაკრებს ოფიციალურ მატჩებამდე 4-5 დღით ადრე შეუერთდა და მაშინ უარი არავისთვის უთქვამთ.

არ გეგონოთ, კალათბურთელს ვამართლებდე და მწვრთნელს ვამტყუნებდე. ნიკამ თავად თქვა, შეიძლება დამნაშავე ვარ რომ დავიგვიანე, მაგრამ ახლა ხომ აქ ვარ, მითხრან, ვჭირდები თუ არაო.

საქმე კი ისაა, რომ კენ შილდსს ეგონა, რომ ერთი თვის ერთად მომზადებული გუნდით ფონს იოლად გავიდოდა. ცქიტიშვილის და ბოისას გარეშე ისლანდიასაც დაამარცხებდა და ფინეთსაც. თუმცა ავსტრიასთან მატჩში გამოჩნდა, რომ ნიკაც და ბოისაც (თუნდაც გუნდთან შეუწყობლები) ნაკრებს სჭირდებიან.

...ისლანდიაში წინა დღის ჩასულმა **ვოვა ბოისამ** სანიკიძის ტრავმის შემდეგ თითქმის შეუცვლელად ითამაშა. დასკვნა თავადვე გამოიტანეთ.

ქართველებს საქმე ასარჩევად არასოდეს გვქონია - აქამდეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ცქიტიშვილი ნაკრებში უნდა თამაშობდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მისმა იტალიურმა "ტერამომ" ოფიციალური შეკრება უკვე დაიწყო, ნიკა თბილისშია და ნაკრების ჩამოსვლას ელოდება.

## ლოგი

მაინც ვერ გამიგია, როგორ უნდა წააგო ისლანდიასთან?

გიპასუხებთ: წავაგეთ იმიტომ, რომ მეტოქეს უფრო შეკრული გუნდი ჰყავს. თებერვალში "ტარტუ"-"ნორდავიკის" მატჩის მიმოხილვაში **გიორგი ცინცაძეზე** საუბრისას დავწერე: ისლანდიურ კლუბში მათი ნაკრების ძირითადი ბირთვია თავმოყრილი, სტეფანსონი, გუნარსონი, ბირმინგემი, ბერინგსონი, იონასონი... ისლანდიელმა სონებმა ისე მწყობრად ითამაშეს, რომ "სონის" გამართულ მექანიზმსაც შეშურდებოდა. საქართველოს ნაკრები კი წელიწადში ერთ თვეს, ისიც არასრულად იკრიბება და, რა გასაკვირია, კუნძულელებზე შეუთამაშებლები რომ ვართ.

მეორე მიზეზი, რის გამოც ისლანდიაში შევრცხვით, მონდომება იყო. ჩრდილოელებს ჩვენთან შედარებით ორმაგი ენთუზიაზმი ჰქონდათ - B დივიზიონის ერთ-ერთ ფავორიტს ეთამაშებოდნენ და ასეთ გუნდთან მოგება მათთვის გმირობის ტოლფასია. ...და მეორე, შინაურ კედლებში ირჯებოდნენ.

ჩვენზე მონდომებულები რომ იყვნენ, ამიტომაც გაუმართლათ პირველ და ბოლო წუთებზე. თავიდან ხომ ჩვენდა ბედად **ვიქტორ სანიკიძემ** კოჭი დაიზიანა. ბოლოს კი **ლოგი გუნარსონმა** და მისმა თანაგუნდელებმა ზუსტი შორეული ტყორცნებით A დივიზიონში ქართველთა მოხვედრის შანსები მიშენებულ ლოჯებს დაამსგავსეს.

## ისლანდია

რატომღაც, დარწმუნებული ვარ, რომ ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, ვლადიმერ ბოისა და ნიკა ცქიტიშვილი ევროპის ჩემპიონატზე, ადრე თუ გვიან, მაინც ითამაშებენ. მათ შორის ყველაზე უფროსი , ბოისა მხოლოდ 26 წლისაა... რუმინეთმა თუ იყოჩალა, შეიძლება ეს ევრო-2009 იყოს.

ვაჟა სიმონიშვილი

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. შვეიცარია | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. ირლანდია | 4 | 1 | 3 | 5 |
| 4. კვიპროსი | 4 | 0 | 4 | 4 |

**1 სექტემბერი**
შვეიცარია-კვიპროსი
რუმინეთი-ირლანდია

**5 სექტემბერი**
შვეიცარია-რუმინეთი
კვიპროსი-ირლანდია

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. პოლანდია | 7 | 4 | 3 | 11 |
| 2. სლოვაკეთი | 7 | 4 | 3 | 11 |
| 3. ბრიტანეთი | 6 | 4 | 2 | 10 |
| 4. ბელორუსი | 6 | 4 | 2 | 10 |
| 5. ალბანეთი | 6 | 0 | 6 | 6 |

**1 სექტემბერი**
ბრიტანეთი-ალბანეთი
სლოვაკეთი-ბელარუსი

**5 სექტემბერი**
ბელარუსი-ბრიტანეთი
ალბანეთი-ჰოლანდია

| C ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 6 | 6 | 0 | 12 |
| 2. საქართველო | 7 | 5 | 2 | 12 |
| 3. ავტსრია | 7 | 3 | 4 | 10 |
| 4. ისლანდია | 6 | 2 | 4 | 8 |
| 5. ლუქსემბურგი | 6 | 0 | 6 | 6 |

**1 სექტემბერი**
ლუქსემბურგი-ისლანდია

**2 სექტემბერი**
საქართველო-ფინეთი

**5 სექტემბერი**
ფინეთი-ლუქსემბურგი
ისლანდია-ავსტრია

კალათბურთი
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
B დივიზიონი
2 სექტემბერი
საქართველო VS ფინეთი
დასაწყისი: 19.00
სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK
GEOSPORT
ვარაზი
HOTEL VARAZI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძიუდო

### მსოფლიო ჩემპიონატი

# ფრანკფურტი-სან პაულუ

დღეს, საღამოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები ჩვეულებისამებრ ივარჯიშებს, ხვალ, 19:45 სთ-ზე კი ფრანკფურტის გავლით სან პაულუში გაემგზავრება და ბოლო შეკრებას იქ გამართავს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** (აბსოლუტური). ვაჟთა გუნდი სან პაულუდან მომავალი მსოფლიო პირველობის მასპინძელ რიო დე ჟანეიროში 11 სექტემბერს გაიმართება, 12-ში საღამოს წილისყრაა, ჩემპიონატი კი 13 სექტემბერს დაიწყება.

ვაჟებთან ერთად, წლევანდელ მსოფლიო პირველობაში საქართველოდან ქალთა გუნდიც გამოვა, ოღონდ მხოლოდ სამი- მონაწილით - **დურსადაფ ქერიმოვა** (52), **თინათინ ქულოსაშვილი** (63) და **ირინა ლეონიძე** (+78). ესენი ბრაზილიაში 11 სექტემბერს გაემგზავრებიან.

ვაჟების მსგავსად, ქალთა ნაკრების მსოფლიოსთვის მზადებაც ოლიმპიურმა ფონდმა დააფინანსა, გეგმაში კი უცხოური შეკრება და თურქეთის ტურნირში გამოსვლაც შედიოდა. ოღონდ, ვაჟებისგან განსხვავებით, ჩვენი ქალების მიზანი ბევრად მოკრძალებულია - მინიმუმ, ერთი საგზურის მოპოვება. საამისოდ კი ხუთეულში მოხვედრაა საჭირო. დაგვეთანხმებით, ჩვენი ქალთა ძიუდოს დღევანდელობიდან გამომდინარე, ეს არცთუ იოლი ამოცანაა.

ჩემპიონატის განრიგი ასეთია: 13 სექტემბერს 100, +100, 78 და +78 წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ, 14-ში - 81, 90, 63 და 70, 15-ში - 66, 73, 52 და 57, 16 სექტემბერს კი პირველობას 60, 48 და აბსოლუტურის ფალავნები დაასრულებენ.

გუშინ ვაჟთა რამდენიმე ნაკრების შემადგენლობა შემოგთავაზეთ, დღეს კი რუსეთისას გაგაცნობთ. მართალია, რუსეთის ძიუდოს ფედერაცია ნაკრების ოფიციალურ წარდგენას დღეს აპირებს პოდოლსკში, სადაც გუნდები დასკვნით შეკრებას გადიან, მაგრამ რუსულმა მედიამ უკვე გამოაქვეყნა ნაკრების სია: ევროპის ჩემპიონი პირადში და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გუნდურში **რუსლან კიშმახოვი** (60), **ალიმ გადანოვი** (66), ევროპის ჩემპიონი **სალამუ მეჯიდოვი** (73), **სირაზუდინ მაგომედოვი** (81), ევროპის ჩემპიონი **ივან პერშინი** (90), ასევე კონტინენტის ჩემპიონი **რუსლან გასიმოვი** (100), მსოფლიოსა და ოლიმპიადის პრიზიორი, კონტინენტის რამდენიმეგზის ჩემპიონი **ტამერლან ტმენოვი** (+100), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ალექსანდრ მიხაილინი** (აბსოლუტური).

როგორც ვხედავთ, რუსებმა უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანეს, თუმცა ერთი ცნობილი ფალავანი მაინც აკლიათ - ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **დმიტრი ნოსოვი** (81), ქვეყნის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის საყვარელი ფალავანი. ამ შემადგენლობაში უტიტული და გამოუცდელი მხოლოდ ორია - გადანოვი და მაგომედოვი.

**ირაკლი თავაძე**

## კრივი

### კადეტთა ნაკრები

# ბაქოდან მედლებს ველით

**დღეიდან 8 სექტემბრამდე საქართველოს კადეტ მოკრივეთა ნაკრები ბაქოში, მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს. შარშან, ჩვენმა გუნდმა ანალოგიურ შეჯიბრებაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. თუმცა, შარშანდელი პრიზიორი ზაალ კვაჭატაძე (52 კგ) წლეულს მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მიდის.**

**ბაქოშივე შედგება კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) კონგრესიც, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება. გვესაუბრება საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი.**

- კადეტთა ნაკრებს მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. ტარიელ ვერულაშვილი შეცვალა რამაზ ნიკოლაძემ, რომელიც შარშან მოსწავლეთა ნაკრებს თავკაცობდა. რამაზ ნიკოლაძეს მსოფლიო ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობა მიჰყავს: ავთანდილ ჭუბაბრია (46 კგ), გელა აბაშიძე (48), თორნიკე კოტრიკაძე (50), ლევან ქობულაშვილი (52), ადირ ასლანოვი (54), დემნა კოტუა (57), გიორგი ჯაყელი (63), ჯაბა ხოსიტაშვილი (66), რომან თავაძე (70) და ბაქარ ყურაშვილი (73). სამწუხაროდ, ასაკის გამო, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მიგვყავს შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი ზაალ კვაჭატაძე. იგი სულ რაღაც ორი თვითაა უფროსი საჭირო ასაკზე.

**- რა მიზნებს უსახავთ გუნდს?**

- ჩვენი პროგნოზით, 3-4 მედალი უნდა მოვიპოვოთ. მაგალითად, ჩემპიონობის კანდიდატებად გვესახებიან რომან თავაძე და მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებული ჯაბა ხოსიტაშვილი. მედლების მოპოვების რეალური შანსი აქვთ თორნიკე კოტრიკაძესა და დემნა კოტუასაც. თუმცა, ეს მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენი ვარაუდია, მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაფერი ხდება და ღმერთმა ქნას, ბიჭებმა იმედები გაგვიმართლონ.

**- ბაქოშივე, შეჯიბრების პარალელურად, შედგება აიბას კონგრესი. რა საკითხი განიხილება კონგრესზე?**

- როგორც იცით, აიბა-სა და ევროპის კრივის ფედერაციას შორის, საკმაოდ გამწვავებულია ურთიერთობა. საერთაშორისო ფედერაცია ეაბა-ს პრეზიდენტ ედუარდ ჰუსაინოვს ყველანაირად ავიწროვებს და საერთოდ აპირებს ევროპის ფედერაციის გაუქმებას. სწორედ ეს საკითხი უნდა განიხილონ ბაქოს კონგრესზე. ჰუსაინოვი კანონიერადაა არჩეული ეაბას თავკაცად და ვადამდე ვერანაირად გაათავისუფლებენ. ამიტომაც, ამ ორგანიზაციის გაუქმება უნდათ, რომლის ნაცვლადაც ჩამოაყალიბებენ ევროპის კრივის რეგიონალურ ბიუროს. ასეთი ბიუროებია ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე, მაგრამ ჩვენი აზრით, ევროპაში ამის გაკეთება დაუშვებელია - სწორედ ესაა საქართველოს პოზიცია და არამარტო ჩვენი - ევროპის ქვეყნების უმეტესობა ეაბა-ს დატოვების მომხრეა. ეს ორგანიზაცია 35 წელიწადია არსებობს და ახლა ველოსიპედის გამოგონება საჭირო არაა.

**კობა ხატისაშვილი**

# შენგელია ლიდერთა ჯგუფში

**ჭადრაკი**. ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში "ოუფენ ინტერნასიონალ დე სანტისის " საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი მიმდინარეობს. ტურნირი შვეიცარიული სისტემით ათ ტურად იმართება, საპრიზო ფონდი კი 12 ათასი ევროა. რეიტინგით შეჯიბრების პირველი ნომერი ქართველი დიდოსტატი **დავით შენგელიაა** (2572). ტურნირში თამაშობენ: საერთაშორისო ოსტატი **მალხაზ სულაშვილი** (2437), **ანა მათნაძე** (2409), **სოფიკო გურამიშვილი** (2273) და **მარიამ დანელია** (2066). შვიდი რაუნდის გასვლის შემდეგ 5,5-5,5 ქულით ცხრა მოჭადრაკე ლიდერობს, მათ შორის, სამწუხაროდ, ქართველი არც ერთია. დავით შენგელიას 5 ქულა აქვს, მალხაზ სულაშვილსა და ანა მათნაძეს 4,5-4,5 ქულა აქვთ. 4 ქულა მოაგროვა სოფიკო გურამიშვილმა, მარიამ დანელიას 3,5 ქულა აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## რაგბი

### მსოფლიო თასი



კოკა-კოლა სარეკლამო აქციას იწყებს

# დარჩა ერთი კვირა!

მსოფლიოს თასის დაწყებამდე ერთი კვირაღა დარჩა. საქართველოს ნაკრების მხარდასაჭერი აქციები კი კომპანია "კოკა-კოლამ" დიდი ხანია დაიწყო. ჯერ კიდევ ივლისში, როცა ბორჯღალოსნები თბილისში გადიოდნენ წვრთნას, "კოკა-კოლამ" გუნდს სასმელი წყლის, "ბონაკვას" ერთთვიანი მარაგი გადასცა.მას შემდეგ რეალიზაციის სამსახურის ოთხმოცდაათივე თანამშრომელი საქართველოს ნაკრების მაისურებით შემოსილი ეწევა სამსახურს. ახლახან, ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა საქართველოს ნაკრების თითოეული მოთამაშის პოსტერით დამშვენებული "კოკა-კოლას" სადისტრიბუციო მანქანები. ისინი მსოფლიო თასის დასრულებამდე ივლიან მთელ საქართველოში, ბორჯღალოსნების მხარდასაჭერად.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ფრენბურთი

### მსოფლიო ტური

# მეცამეტე, მოგება-წაგება

სანქტ პეტერბურგში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქართულმა დუეტმა საქა-რთველომ მე-13 ადგილი დაიკავა. ჩვენმა ფრენბურთელებმა ტურნირის მეორე დღეს ესპანელები **ალსონი** და **მატვეევა** დაამარცხეს. თუმცა მერე ბერძნებთან, **ციარციანთან** და **კუტრუმანიდუსთან** დამარცხდნენ ასევე ორ სეტში 18:21, 17:21. საბოლოოდ, საქართველოს რეიტინგში 180 ქულა მიემატა. პრემიალურმა თანხამ კი 4 500 ამერიკული დოლარი შეადგინა.

გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა გეორ-გიამაც. ჩვენმა ფრენბურთელებმა პირველ შეხვედრაში ნორვეგიელები **ჰოიდალენი** და **გორანსონი** დაამარცხეს ორ სეტში - 21:12, 21:19. თუმცა მერე არგენტინელებთან **კონდესთან** და **ბარაკეტისთან** დამარცხდნენ 16:21,18 21. მორიგ შეხვედრას გეორ-გია დღეს გამართავს. ჩვენ ფრენბურთელებს წაგების უფლება აღარ აქვთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

# კალაშნიკოვა ნახევარფინალში

კანადის ახალგაზრდულ ღია პირველობაზე ჩოგბურთში, რომელიც პირველი კატეგორიის ტურნირია, ქართველმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** რუს **ქსენია ლიკინასთან** დუეტში წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში გააღწია. ოქსანამ და ქსენიამ, რომლებიც კვებეკში პირველ ნომრად განთესეს, მე-8 ნომრად განთესილი იაპონელები (**მისაკი დოი** და **კურუმი ნარა**) დაამარცხეს - 6:4, 7:6. გადამწყვეტ სეტში კალაშნიკოვამ და ქსენია ლიკინამ ტაი-ბრეიკი 7:5 მოიგეს ოქსანას ეისის წყალობით. ნახევარფინალში მათი მეტოქეები კორეელი **სუნ ჰი ჰანი** და ავსტრიელი **ნიკოლა ჰოფმანოვა** იქნებიან, რომლებიც კანადის ღია პირველობაზე მეოთხე ნომრად განთესეს. ამით კალაშნიკოვამ რეიტინგში, სულც მცირე, ერთი საფეხურით წინსვლა გაინაღდა. შეგახსენებთ, რომ ახლა ოქსანა კალაშნიკოვა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის მსოფლიოს მე-19 ჩოგანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თარიღი

**ნიკოლოზ იზორია**. დაიბადა 31.08.1985, ფოთი. კრივი (51 კგ). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (2004), მსოფლიოსა და ევროპის ახალგაზრდული ჩემპოინატების მესამე პრიზიორი (2001), 2004 წლის ათენის ოლიმპიადის მონაწილე (დამარცხდა მეორე წრეში).

**რამაზ ფალიანი**. დაიბადა 31.08.1973, მესტია. კრივი (57 და 61 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (2001) და ორგზის მესამე პრიზიორი (1993, 99), ევროპის სამგზის ჩემპოინი (1996, 98, 2000), "კეთილი ნების თამაშებში" გამარჯვებული (1994), 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, 1996 წლის ატლანტის და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადების მონაწილე. (ორივე თამაშებში V ადგილზე გავიდა). ხმელთაშუაზღვის ქვეყნების ჩემპიონი (2000). ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1989). გამოდიოდა რუსეთისა (1993-96) და თურქეთის სახელით (1997-2001). არის სსრკ, რუსეთისა და თურქეთის ჩემპიონი. 2002 წლიდან გავიდა პროფესიონალურ კრივში. გამოდის საქართევლოს სახელით. არის ABF-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია, ქ. თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის პსორტის სახეობათა ფილიალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 78 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი სპოტმენი და სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, სპორტის ოსტატი ტანვარჯიშში , საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი

გივი ჩხარტიშვილი

და სამძიმარს უცხადებენგანსვენებულის ოჯახს

დაკრძალვა: 1.09.07; 15 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას V კვ, I კორპ

# მძლეოსნობა

## მსოფლიო ჩემპიონატი

# ტაისონ გეის დუბლი

გუშინ, ოსაკაში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა და ოქროს ოთხივე მედალს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები დაეუფლნენ. მათგან ყველაზე გამორჩეულ გამარჯვებას ამერიკელმა **ტაისონ გეიმ** მიაღწია, ვინც ორიოდე დღით ადრე, ას მეტრზე სპრინტში მოპოვებულ ოქროს, ორას მეტრზე სპრინტის ოქროც დაურთო და სრულიად სამართლიანად დაიმსახურა სპრინტის მეფის წოდება.

ტაისონ გეი სულ მესამე სპრინტერია, ვინც მსოფლიო ჩემპინატზე ინდივიდუალურ ჩათვლაში დუბლის შესრულება შეძლო. სამივე შემთხვევაში, თავი ამერიკელებმა გამოიჩინეს. პირველი **მორის გრინი** იყო, მეორედ ეს წინა ჩემპიონატზე **ჯასტინ გეტლინმა** შეძლო, ვინც, ჯერჯერობით, მსოფლიოს თანარეკორდსმენად მიიჩნევა, მაგრამ მალე ალბათ ამ წოდებას დაკარგავს, რადგან დოპინგის გამოყენებაშია გამოჭერილი და განაჩენს ელის.

*"აქ რასაც მივაღწიე, ჩემი მონდომების, ბევრი ვარჯიშისა და მიზანსწრაფულობის წყალობით შევძელი"*, - განაცხადა ჩემპიონმა, ვინც მსოფლიო ჩემპიონატებისთვის სარეკორდო შედეგით (19.76 წამი) მოიპოვა მეორე ოქრო. სხვათა შორის, ასი მეტრის შემდეგ იამაიკელი **უსაინ ბოლტი** ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ ამერიკელმა საგრძნობლად აუჩქარა და ასპარეზობაც საკმაოდ სოლიდური უპირატესობით მოიგო.

*"მოსახვევის შემდეგ ის რომ წინ დავინახე, დავიბენი. მეგონა, წავაგებმეთქი. მაგრამ არ დავნებდი, ფეხს ავუჩქარე და მოვიგე კიდეც. წაგება არ მჩვევია და არც ახლა შემეძლო ამის დაშვება. სამაგიეროდ, ისე დავიღალე, რომ ნაფინიშევს, გამარჯვების აღსანიშნავად, ხელების აწევაც კი აღარ შემეძლო"*, - განაცხადა გეიმ, ვინც კითხვაზე, ამ ორმაგი ტრიუმფის შემდეგ, საკუთარ თავს ყველა დროის საუკეთესო სპრინტერად ხომ არ მიიჩნევს, სწრაფად უპასუხა: *"ამას ვერ ვიტყოდი. თუ გინდა, რომ ასეთი თიკუნი გერგოს, მაშინ დუბლები რამდენიმე ჩემპიონატსა და ოლიმპიადებზეც უნდა შეძლო და რეკორდებიც დაამყარო. ჰო, ჭერქვეშა დიდი ტურნირების მოგებაც უნდა შეგეძლოს"*.

საბოლოოდ, ბოლტი ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაოს მედალს კი კიდევ ერთი ამერიკელი, **უოლეს სპირმონი** დაეუფლა.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა სიგრძეზე მხტომელთა ტურნირი, რომელსაც ტრიბუნიდან თვალს ლეგენდარული ამერიკელები **კარლ ლუისი** და მსოფლიო რეკორდის მფლობელი **მაიკ პაუელი** ადევნებდნენ. ამ ორმა 16 წლის წინათ, იაპონიაშივე, სპორტის მოყვარულებს დაუვიწყარი პაექრობა აჩვენეს, რომლის შედეგადაც ფენომენალური რეკორდი (8.95 მეტრი) იშვა.

ოსაკაში ოქროს მედლისთვის პანამელმა **ირვინგ სალადინომ** და იტალიელმა **ენდრიუ ჰოუმ** იბრძოლეს. პირველივე ცდის შემდეგ, ლიდერობა პანამელის ხელში იყო, ვისი შედეგიც (8.46 მეტრი) კარგა ხანს ყველასთვის მიუწვდომელი იყო. მაგრამ ბოლო ცდაზე ჰოუმ ერთი სანტიმეტრით უფრო შორეული ნახტომი შეასრულა და იქვე საჩემპიონო ზეიმი დაიწყო, ალბათ იფიქრა, უფრო შორს ველარავინ გადახტებაო.

*"ჰოუს ბოლო ნახტომმა ცეცხლი შემინთო და დამატებითი ენერგია მომანიჭა. მერე კი, ბოლო ცდაზე ვიგრძენი, რომ თითქოს, რაღაც არაბუნებრივი ძალა მომეცა. ყველაფერი იდეალურად გამოვიდა დ ბედნიერი ვარ, რომ პანამის სახელით ოქროს დავეუფლე"*, - განაცხადა პალადინომ, ვინც ბოლო ნახტომით ათი სანტიმეტრით აჯობა იტალიელს და ოქროსაც დაეუფლა.

სენსაციური იყო 400 მეტრზე თარჯრბენში ავსტრალიელი **იანა რავლინსონის** გამარჯვება. ამან რამდენიმე თვის წინ იმშობიარა და მაინც, სარბენ ბილიკზე დაბრუნებისთანავე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. სხვათა შორის, რვლინსონს ქალიშვილობის გვარით (იანა პიტმანი) 2003 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ერთხელ უკვე მოპოვებული ჰქონდა. 24 წლის რავლინსონი სულ მეორე ავსტრალიელია, ვინც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ორჯერ დაეუფლა. პირველმა ეს 400 მეტრზე სირბილში **კეტი ფრიმენმა** შეძლო (1997 და 1999 წლებში).

სტარტიდან რუსი **იულია პეჩონკინა** დაწინაურდა, მაგრამ შუა გზაზე ავსტრალიელმა შეძლო მისი ჩამოტოვება და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. სხვათა შორის, მისი შედეგი (54.31 წამი) სეზონის საუკეთესოა.

დაბოლოს, ქალებს შორის უროს ტყორცნა გერმანელმა **ბეტი ჰაიდლერმა** მოიგო. ამ დისციპლინაში უდავო ფავორიტი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, კუბელი **იიპსი მორენო** იყო, მაგრამ მას გერმანელმა სულ ორი სანტიმეტრით აჯობა და ტიტულიც ჩამოართვა. ბრინჯაოს დასჯერდა აზიის თამაშების ჩინელი ჩემპიონი **ვენსიუ ჭანი**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




სალადინოს ოქროს ნახტომი

| მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი | |
|---|---|
| ოსაკა (იაპონია). მე-6 დღე | |
| **უროს ტყორცნა. ქალები** | |
| 1. ბეტი ჰაიდლერი (გერმანია) | 74.76 |
| 2. იიპსი მორენო (კუბა) | 74.74 |
| 3. ვენსიუ ჭანი (ჩინეთი) | 74.39 |
| 4. კამილა სკოლიმოვსკა (პოლონეთი) | 73.75 |
| 5. ელენა კონევცევა (რუსეთი) | 72.45 |
| **400 მეტრი თარჯრბენით. ქალები** | |
| 1. იანა რავლინსონი (ავსტრალია) | 53.31 |
| 2. იულია პეჩონკინა (რუსეთი) | 53.50 |
| 3. ანა იესიენი (პოლონეთი) | 53.92 |
| 4. ნიკიეშა უილსონი (იამაიკა) | 54.10 |
| 5. სიაოსიაო ჰუანი (ჩინეთი) | 54.15 |
| **სიგრძეზე ხტომა. კაცები** | |
| 1. ირვინგ სალადინო (პანამა) | 8.57 |
| 2. ენდრიუ ჰოუ (იტალია) | 8.47 |
| 3. დუაიტ ფილიპსი (აშშ) | 8.30 |
| 4. ოლექსიი ლუკაშევიჩი (უკრაინა) | 8.25 |
| 5. გოდფრი ხოტო მოკოენა (სამხ.აფრიკა) | 8.19 |
| **200 მეტრი. კაცები** | |
| 1. ტაისონ გეი (აშშ) | 19.76 |
| 2. უსაინ ბოლტი (იამაიკა) | 19.91 |
| 3. უოლეს სპირმონი (აშშ) | 20.05 |
| 4. როდნი მარტინი (აშშ) | 20.06 |
| 5. ჩურანდი მარტინა (ჰოლ. ანტილები) | 20.28 |

# ველოსპორტი

## მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# ვალვერდეს მუნდიალზე არ უშვებენ




ალეხანდრო ვალვერდე

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება არ მისცა ესპანელ ველომრბოლ **ალეხანდრო ვალვერდეს**, რის მიზეზადაც დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოში მისი მონაწილეობა სახელდება.

კავშირის სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა პერასიონ პუერტოს 6000-ფურცლიანი საქმე და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვალვერდე პირდაპირაა გარეული ამ სკანდალში. საქმის ზერელე შესწავლის შემდეგ კი გადაწყდა, რომ ვალვერდეს მონაწილეობამ მსოფლიო ჩემპიონატს შეიძლება ჩრდილი მიაყენოს.

უფრო მეტიც, კავშირმა ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციას მიმართვა გაუგზავნა, რომლითაც მისგან მოკლე ვადაში ვალვერდეს წინააღმდეგ სადისციპლინო პროცედურების დაწყებას მოითხოვს.

*"ამ მოთხოვნით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ გინდა თუ არა, ვალვერდე საქმეშია გარეული. ჩვენ საქმის ობიექტური შესწავლა და ამგვარად, ველოსპორტის სკანდალებისგან დაცვა გვსურს. სწორედ ამიტომ, სანამ საქმე ბოლომდე იქნება შესწავლილი, მანამ მსოფლიო ჩემპიონატის რეპუტაციის ეჭვქვეშ დაყენებისგან თავის შეკავებას ვამჯობინებთ"*, - ნათქვამია კავშირის განცხადებაში.

თუ საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდება, რომ ვალვერდე ოპერაციონ პუერტოში მართლაცაა გარეული, მაშინ მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. გარდა ამისა, ველომრბოლებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ვალვერდე იძულებული იქნება, კავშირის დოპინგთან მებრძოლი ფრთის სასარგებლოდ, თავისი ერთი სეზონის ხელფასი გადაიხადოს.

კავშირის მიმართვამდე, ესპანეთის ველოსპორტის კავშირმა ვალვერდეს მხარი დაუჭირა, რის მიზეზადაც ის ფაქტი დაასახელა, რომ ერთხელ ჩატარებულმა გამოძიებამ, ველომრბოლის ოპერასიონ პუერტოსთან ყველანაირი კავშირი უარჰყო.

სხვათა შორის, ვალვერდეს ნათქვამი აქვს, რომ ვუელტაზე გამოსვლას არ აპირებს და მთლიანად მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებაზე გადაერთვება. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ვუელტაზე მან მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ ყაზახ **ალექსანდრ ვინოკუროვთან** წააგო, რომელიც წლევანდელ ტურზე სისხლის დოპინგზე ჩავარდა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატს გერმანიის ქალაქი შტუტგარტი, 25-30 სექტემბერს უმასპინძლებს.

# TV სპორტი

### 31 აგვისტო. პარასკევი

### SPORT 1 (უკრაინა)

**07:16** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-რომა.
**09:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**09:10** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**09:38** სპორტდოსიე. გოლფი.
**10:05** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**10:20** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ხეტაფე.
**11:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ლივერპული.
**14:00** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
**14:30** სპორტდოსიე. გოლფი.
**15:00** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდის წილისყრა (LIVE).
**15:35** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1989 წელი. ფინალი. ევერტონი-ლივერპული.
**17:55** ფეხბურთი. Barca TV.
**18:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**19:40** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ატლეტიკო ნასიონალი-უნივერსიტარიო.
**20:40** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**21:55** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**22:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**22:40** ფეხბურთი. ევროპის სუპერთასი. მილანი-სევილია (LIVE).
**00:45** სპორტკლუბი.
**00:57** კრივი. რინგ-საიდი.
**01:57** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**02:25** სპორტდოსიე. გოლფი.
**02:52** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ხეტაფე.
**04:37** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1989 წელი. ფინალი. ევერტონი-ლივერპული.
**06:57** სპორტის ისტორია.

### EUROSPORT

**09:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე.
**10:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
**11:30** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე.
**12:30** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).
**13:30** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).
**17:30** ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. გერმანია.
**19:00** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
**20:00** ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
**21:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
**02:00** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მარათონი. მამაკაცები. ოსაკა. იაპონია (LIVE).

### EUROSPORT-2

**09:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
**10:00** ახალი ამბები.
**12:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ბულგარეთი-პოლონეთი. საფრანგეთი.
**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ჟურნალი.
**14:00** ახალი ამბები.
**15:00** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდის წილისყრა (LIVE).
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. I დღე. საფრანგეთი.
**17:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. რუსეთი (LIVE).
**19:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ჟურნალი.
**20:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. II დღე. საფრანგეთი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პრო-რესტლინგი.
**02:00** ფეხბურთი. ევროპის სუპერთასი. მილანი-სევილია.
**03:45** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17. 1/8 ფინალი** | |
| არგენტინა-კოსტა რიკა | 2:0 |
| ნიგერია-კოლუმბია | 2:1 |
| ინგლისი-სირია | 3:1 |
| გერმანია-აშშ | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| იორკი-რაშდენი | 2:3 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნორჩოპინგი-ოსტერი | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-კტპ | 2:0 |
| ჰონკა-ვაასა | 1:0 |
| ტურკუ-ინტერი | 1:0 |
| **ისლანდია** | |
| აკრანესი-ბრეიდაბლიკი | 2:1 |
| პაუნარი-რეიკიავიკი | 5:1 |
| კრ-ფილკირი | 1:2 |
| ფრამი-კეფლავიკი | 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| იტალია-საბერძნეთი | 52:73 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. აშშ-ის ღია** | |
| ვერდასკო-სიმონი | 6:0, 6:4, 6:3 |
| მარეი-ბიორკმანი | 5:7, 6:3, 6:1, 4:6, 6:1 |
| ბერდიჩი-ბოლელი | 7:5, 6:3, 6:3 |
| კანიასი-ლი | 5:7, 5:7, 3:6 |
| ანდრეევი-ლოპესი | 7:6, 5:7, 6:3, 4:6, 6:7 |
| გროსჟანი-მირნი | 6:4, 6:7, 6:4, 6:3 |
| როდიკი-აკასუსო | 4:6, 6:1, 6:2, 6:0 |
| **WTA. აშშ-ის ღია** | |
| კუზნეცოვა-პინი | 6:3, 4:6, 6:0 |
| მ. გარიგესი-დომინგესი | 7:5, 6:2 |
| მირზა-გრენვილი | 6:3, 7:5 |
| პეერი-მატეკი | 6:2, 6:1 |
| სკიავონე-პაჩეკი | 3:6, 5:7 |
| ჩაკვეტაძე-პრატი | 6:3, 6:4 |
| აზარენკა-ციბულკოვა | 6:2, 6:2 |
| ჰინგისი-პარმენტიე | 6:2, 7:5 |
| შნიდერი-ბრემონი | 6:3, 6:0 |
| ვაკულენკო-კოსტანიჩი | 6:2, 6:1 |
| ვაიდიშოვა-პენეტა | 6:4, 6:3 |
| კირილენკო-სრებოტნიკი | 6:4, 6:3 |
| პეტროვა-როდიონოვა | 7:5, 6:1 |

კალათბურთი

## ფრანგებს მცველი დააკლდათ

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე, ცვლილება მოხდა საფრანგეთის ნაკრების საბოლოო განაცხადში. სლოვენიასთან ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის გამო, ევრობასკეტს გამოტოვებს მცველი **ემერიკ ჟანო**. როგორც სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, "სტრასბურის" 28 წლის კალათბურთელს მენისკი აწუხებს.

ჟანო ძირითადი გამთამაშებლის, **ტონი პარკერის** დუბლიორად მოიაზრებოდა. ახლა მის ნაცვლად ევროპაზე ასევე "სტრასბურის" ფორვარდი **საშა ჟიფა** ითამაშებს.

## მეორე ჩინელი ასოციაციაში

მომავალ სეზონში, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მეორე ჩინელი კალათბურთელი ითამაშებს. გუშინ, **ი ძიანლიანმა** "მილუოკი ბაქსთან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ეს კალათბურთელი "ბაქსმა" წლევანდელ დრაფტზე მეექვსე ნომრად აიყვანა, მაგრამ ჩინელს არ სურდა "მილუოკისთან" ხელშეკრულების დადება. ძიანლიანის აგენტი თავისი კლიენტისთვის ისეთ ქალაქს ეძებდა, სადაც უფრო ფართოდ იქნებოდა წარმოდგენილი ჩინური დიასპორა.

19 წლის ძიანლიანი "მილუოკისთან" ერთად ვარჯიშს 1 ოქტომბერს დაიწყებს.

კრივი

## კუბა მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე

წლეულს, სამოყვარულო კრივში მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკის ქალაქ ჩიკაგოში გაიმართება. სპორტის ამ სახეობაში მოდის კანონმდებლებმა, კუბელებმა გადაწყვიტეს, მონაწილეობა არ მიიღონ ოქტომბერში გასამართ პირველობაში. ქვეყნის კრივის ფედერაციის მესვეურები შიშობენ, რომ კუბის ნაკრების წევრები კვლავ შეეცდებიან გუნდიდან გაქცევას და ამერიკაში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას.

მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, კუბელები გაისად პეკინში გამოსვლას მაინც აპირებენ. მართალია, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპია, მაგრამ კუბელთა განცხადებით, ოლიმპიურ ლიცენზიების მოსაპოვებელი სხვა ტურნირებიც არსებობს და ისინი იქ მიიღებენ მონაწილეობას.

ამ წლის დასაწყისში, სამი კუბელი ოლიმპიური ჩემპიონი - **ოდლანიერ სოლისი, იურიორკის გამბოა** და **იან ბარტელემი** პანამერიკული თამაშების შეკრებიდან გაიპარა. ცოტა ხანში, მათ **გილერმო რიგონდომ** და **ერისლანდი ლარამაც** მიბაძეს.



ლებრონმა ურუგვაის ყველა ბურთი ჩაუგდო

### ამერიკის ჩემპიონატი

# ასპროცენტიანი ლებრონი

ბოლო მატჩებში, ამერიკის შემადგენლობაში ახალი ლიდერი გამოიკვეთა. ზედიზედ მეორე შეხვედრაა, "დრიმ თიმის" ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი **ლებრონ ჯეიმსი** გახლავთ.

"კლივლენდის" ლიდერმა ურუგვაისთან მატჩში ფენომენალური შედეგი აჩვენა. ის მხოლოდ პირველ ტაიმში გამოჩნდა მოედანზე და ჯამში 14 წუთი ითამაშა. მიუხედავად ასეთი მცირე სათამაშო დროისა, ჯეიმსმა 11-დან ყველა (!) ტყორცნა ზუსტად მოათავსა კალათში, მათ შორის 4-დან 4 სამქულიანი. ამით, ტურნირზე ლებრონის მიერ ტყორცნების გამოყენების პროცენტმა 79.9-ს (!) მიაღწია (59-დან 47 ზუსტი სროლა). გარდა ამისა, ახალგაზრდა ვარსკვლავმა 20-დან 14 სამქულიანი ჩააგდო, რაც 70 პროცენტს აღემატება.

ამჯერად, მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია **კარმელო ენტონის** და საერთოდ, პირველ ტაიმში მოპოვებული უდიდესი უპირატესობის შემდეგ, **მაიკ კრჟიჟევსკიმ** სასტარტო ხუთეულის წევრები დაასვენა და სარეზერვო მოთამაშეებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. ამერიკელთა მთავარი მწვრთნელის ეს ნაბიჯი სავსებით გასაგები იყო. მეორე ეტაპის ბოლო ტურში, მასპინძლებს მათსავით დაუმარცხებელ არგენტინასთან ელით შეხვედრა. ტურნირის ცენტრალურ მატჩში, აშშ-ს 2004 წლის ოლიმპიადის ნახევარფინალში მარცხისთვის რევანში აქვს ასაღები.

■ ■ ■

გუშინდელ სათამაშო დღეს, განსაკუთრებით დიდ ინტერესს პრინციპული მეტოქეების, არგენტინისა და ბრაზილიის დაპირისპირება იწვევდა.

ბრაზილიისგან განსხვავებით, არგენტინას განაღდებული ჰქონდა ნახევარფინალის საგზური. ამიტომაც წესით, უფრო მოტივირებულნი სწორედ "ყვითლები" უნდა ყოფილიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, პირველ ტაიმში ასე ჩანდა. ბრაზილიამ თამაშიდან ტყორცნების 56 პროცენტი გამოიყენა, 8-დან 6 სამქულიანი ჩააგდო და პირველი ნახევარი 42:28 მოიგო.

მესამე მეოთხედის სტარტზე, "ფინიქს სანსის" წევრმა **ლეანდრო ბარბოსამ** სამქულიანი ჩააგდო და ბრაზილიის უპირატესობამ 17 ქულა შეადგინა. მაგრამ მესამე 10-წუთეულის დასრულების შემდეგ, არგენტინელები მხოლოდ 8 ქულას აგებდნენ. დაიწყო მეოთხე მეოთხედი, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ზედიზედ 8 ქულა აიღეს და ანგარიშიც გაათანაბრდა.

თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა, მაგრამ თამაშის მოგების მეტი შანსი მაინც ბრაზილიას ჰქონდა, მაგრამ 71:71-ზე, მან ბოლო 18 წამში ორი ტყორცნა გააფუჭა და არგენტინას შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანის საშუალება მისცა.

დამატებითი დროის დასრულებამდე ორნუთნახევრით ადრე, როცა ანგარიში 76:76 იყო, არგენტინელმა **პაბლო კინტეროსმა** სამქულიანი გამოიყენა. ამის შემდეგ, არგენტინელებმა 6-დან 4 შეტევა ზუსტად დაასრულეს, ბრაზილიელებმა კი, ოთხი ტყორცნა გააფუჭეს და ამით ყველაფერი გაირკვა კიდეც.

როგორც იცით, ამერიკის ჩემპიონატიდან ოლიმპიადაზე ორივე ფინალისტი მოხვდება. არგენტინამ მთავარ ამოცანას მიაღწია. მან ნახევარფინალში ამერიკასთან შეხვედრა აიცილა და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, გაისად პეკინში ტიტულის დაცვის საშუალება მიეცემა. აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ მესამე-მეხუთე ადგილების მფლობელებს, 2008 წელს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე ხელმეორე შანსი მიეცემათ.

■ ■ ■

ერთ-ერთი გუნდი, რომელიც ამ შანსის გამოყენებას ეცდება, სავარაუდოდ, კანადის ნაკრები იქნება, რომელსაც ერთი მოგება აკლია იმისთვის, რომ ნახევარფინალში თამაში გაინაღდოს. თავისი უპირველესი ვარსკვლავის, **სტივ ნეშის** გარეშე მოთამაშე კანადამ, გუშინ მექსიკა 17 ქულით დაამარცხა და მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა.

NBA-ის ორგზის საუკეთესო მოთამაშე ნეშმა განაცხადა, რომ თუ მისი გუნდი საგაისო კვალიფიკაციაში მოხვდება, ის აუცილებლად დაეხმარება კანადას პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებაში. ასე რომ, კანადელებისთვის ლას ვეგასში წარმატებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**მეოთხედფინალური ეტაპი**

**აშშ-ურუგვაი 118:79**

31:21, 35:17, 29:26, 23:15

**აშშ:** ჯეიმსი (26+4 პ), ა. სტაუდმაიერი (19+7 მ), დერონ უილიამსი (14+6 პ), პრინსი (13+6 მ+4 პ), ბრაიანტი (13+3 პ).

**ურუგვაი:** ბატისტა (20+5 მ), გარსია მორალესი (11+6 მ).

**არგენტინა-ბრაზილია 86:79 (ო)**

16:23, 12:19, 22:16, 21:13, 15:8

**არგენტინა:** სკოლა (23+12 მ), კინტეროსი (19), დელფინო (17+10 მ), პრიჯიონი (11+7 პ).

**ბრაზილია:** მაჩადო (19+7 მ+7 პ), ბარბოსა (16+5 პ), სილვა (14), ნენე (10+12 მ).

**კანადა-მექსიკა 97:80**

21:22, 26:9, 29:24, 21:25

**კანადა:** ანდერსონი (17+5 პ, მენდესი (15+9 მ), კენდალი (14+11 მ), ინგლიში (12), ბრაუნი (11+11 მ), ფამუტიმი (11).

**მექსიკა:** კინტერო (20), ავილა (15+5 მ), ლამასი (10).

**პუერტო რიკო-ვენესუელა 92:63**

20:16, 27:19, 15:10, 30:18

**პუერტო რიკო:** აიუსო (25), აროიო (13+7 პ), ფიგეროა (10), რეიესი (9+13 მ), რამოსი (9+10 მ).

**ვენესუელა:** რომერო (11+10 მ), ვასკეს როდრიგესი (10).

*სატურნირო მდგომარეობა: 1. აშშ - 12 ქულა (6 მატჩი); 2. არგენტინა - 12 (6); 3. ბრაზილია - 9 (6); 4. კანადა - 9 (6); 5. პუერტო რიკო - 8 (6); 6. ურუგვაი - 8 (6); 7. მექსიკა - 7 (6); 8. ვენესუელა - 7 (6).*



### აშშ-ის ღია პირველობა

# გაბაშვილი მეორე წრეში

აშშ-ის ღია პირველობის მესამე დღეც ფავორიტებისთვის მშვიდობიანი გამოდგა - ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** იოლი გამარჯვებით დაიწყო აშშ-ის ღიას კამპანია, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** კი უკვე მესამე წრის საგზური მოინადავლა. მესამე წრეში გავიდნენ ქალთა ბადის ფავორიტებიც. სამაგიეროდ, პირველივე წრეში ჩარჩა ჩილელი **ფერნადო გონსალესი**, ვისაც ხუთ სეტში რუსეთის სახელით მოასპარეზე **თეიმურაზ გაბაშვილმა** აჯობა.

ზემოთ ვთქვით, რომ გუშინ ფავორიტებისთვის მშვიდობიანი დღე იყო. ამ სეზონის ავსტრალიის ღიას ფინალისტი გონსალესი კი, რა თქმა უნდა, ფავორიტი უნდა ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება - ნიუ იორკამდე, აშშ-ის ღიას სერიის სამ ტურნირს (ჰარდის) ის პირველივე წრეში გამოეთიშა და "ფლაშინგ მიდოუსზეც" ეს ტრადიცია გააგრძელა.

პირველი ორი სეტი გაბაშვილმა მოიგო, თუმცა შემდეგ გონსალესმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო და თითქოს, გამარჯვებისთვის საჭირო ინიციატივასაც დაეუფლა. მაგრამ გაბაშვილმა არაფერი დაუთმო. ეგ კი არა, გადამწყვეტი სეტის მეათე გეიმში ერთადერთი ბრეიკი მოიპოვა და ამით შეხვედრასაც გამარჯვების წერტილი დაუსვა.

*"ჩოგბურთში, როცა ბევრს ვარჯიშობ, მაგრამ ზედიზედ რამდენჯერმე დამარცხდები, თავდაჯერებას კარგავ. მეც სწორედ ასე მომივიდა. თანაც, როცა რეიტინგში მაღალი ადგილი გიკავია, შენი მეტოქეები ორმაგი მონდომებით თამაშობენ. თანაც, ისინი ხშირად ნახულობენ შენს თამაშს და იმასაც კარგად სწავლობენ, თუ როგორ უნდა დაგამარცხონ. ბევრს ვვარჯიშობ და გარწმუნებთ, უფრო უკეთეს ფორმაში ვარ, ვიდრე ბევრი ფიქრობს. უბრალოდ, შესაფერის მომენტს ველოდები. ამ ტურნირზე კარგად გამოსვლის იმედი მქონდა, მაგრამ ისინი რეალობად ვერ ვაქციე. რას ვიზამ, ჩოგბურთში ასეთი რამეები ხდება ხოლმე"*, - განაცხადა გონსალესმა.

ნადალს ავსტრალიელ **ალუნ ჯონსის** დასამარცხებლად ოთხი სეტი დასჭირდა. ესპანელს მუხლის ტრავმა აწუხებდა. თანაც, გონსალესის ნათქვამისა არ იყოს, ჯონსი ორმაგი მონდომებით ეთამაშა მსოფლიოს მეორე ჩოგანს და ამის ჯილდოდ მეორე სეტის მოგება შეძლო. თუმცა, ეს იყო მაქსიმუმი, რისი მიღწევაც მან თითქმის სამი საათის განმავლობაში მოახერხა.

*"სხვა ტურნირზე რომ ასეთი ტრავმა მიმეღო, ალბათ, არც ვითამაშებდი. მაგრამ ამას აშშ-ის ღიაზე როგორ ვიზამ. ორი დღის წინათ გაცილებიც უარესად ვიყავი. დღეს ბევრი არ მიმოძრავია, მაგრამ მაინც კარგად ვითამაშე. ძალიან კარგი. ვიმედოვნებ, შემდეგ წრეში ტკივილი ნაკლებად შემაწუხებს"*, - განაცხადა ნადალმა, ვინც მარცხენა მუხლის ტრავმა სამი დღით ადრე, ვარჯიშის დროს მიიღო.

ნადალის ტრავმის ამბავი რომ შეიტყო, რეიტინგში 123-ე ადგილზე მყოფმა ავსტრალიელმა თამაშის აგრესიული სტილი აირჩია, რის გამოც ბევრჯერ ცდებოდა და ამით მეტოქეს იოლი ქულების მოპოვების საშუალებას აძლევდა. საერთო ჯამში კი ჯონსმა 60 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ფედერერს არ გასჭირვებია ჩილელი **პოლ კაპდევილის** დამარცხება. შვეიცარიელმა თამაშით 45 ქულა აილო და მხოლოდ 11 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ქალთა ბადეში, მესამე წრისკენ ყველა ფავორიტმა იოლად გაიკაფა გზა. ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვას** დასამარცხებლად, საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა ბელგიელ **ჟუსტინ ანენს**, რომელმაც შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ფორმაში თანდათან შევდივარ და ვიმედოვნებ, პიკს მეორე კვირაში მივაღწევო. შეგახსენებთ, რომ ჟუსტინს აშშ-ის ღია 2003 წელს აქვს მოგებული.

მოსაგებად ორ-ორი სეტი იმყოფინეს ტურნირის ყოფილმა ჩემპიონებმა, ამერიკელმა დებმა **სერენა** და **ვენუს უილიამსებმა**. არადა, ორივეს პირველ სეტში საკმაოდ გაუჭირდა მოგება. სერენა თავისი თამაშით უკმაყოფილო დარჩა - ბევრი შანსი ვერ გამოვიყენე და ასე თამაში მომდევნო ეტაპებზე არ გამომადგებაო.

წინ წაიწიეს სერბმა ჩოგბურთელებმა - **ანა ივანოვიჩმა** და **ელენა იანკოვიჩმა**. თუ ისინი ასე გააგრძელებენ, მაშინ მეოთხედფინალში ერთმანეთის გზას გადაკვეთენ. არადა, საფრანგეთის ღიაზე მათ უფრო მეტად გაუმართლა - ორივემ ნახევარფინალს მიაღწია, საიდანაც ფინალში მხოლოდ ივანოვიჩმა გააღწია.

**ნიუ იორკი (აშშ). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი**: 19 653 000 დოლარი

**მამაკაცები**

**I წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ალუნ ჯონსი (ავსტრა) 7:5, 3:6, 6:4, 6:1; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 7) 6:4, 6:1, 3:6, 5:7, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 8)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:3, 7:6 (5), 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს, 11)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:0, 6:1, 6:2; **კარლოს მოია (ესპ, 17)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:1, 6:2, 6:4; **მარატ საფინი (რუს, 25)**-ფრენკ დანჩევიჩი (კან) 7:5, 7:6 (5), 7:6 (7); **ტიმ ჰენმანი (ბრიტ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 27) 6:4, 3:6, 6:3, 6:4; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 30) 7:5, 7:6 (4), 6:3; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:0, 6:3, 6:1; **მიხაელ ბერერი (გერ)**-მიხალ პრსიეჟნი (პოლ) 6:1, 4:6, 6:1, 7:6 (4); **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 5:7, 6:2, 6:4, 6:2; **ჯო-ვილფრიდ ცონგა (საფ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 7:5, 6:1, 6:3; **იგორ კუნიცინი (რუს)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 4:6, 6:3, 7:5, 2:6, 7:5; **მარდი ფიში (აშშ)**-ბრუნო ეჩაგარაი (მექ) 6:4, 6:1, 6:2; **ჯონ ისნერი (აშშ)**-რიკ დე ვოესტი (ს. აფრ) 6:3, 6:3, 7:6 (4); **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 4:6, 6:3, 4:6, 6:4, 7:5; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-მარიანო საბალეტა (არგ) 6:2, 6:2, 6:4.

**II წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-პოლ კაპდევილი (ჩილ) 6:1, 6:4, 6:4.

**ქალები**

**II წრე**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:4, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 3)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:2, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ, 5)**-არავან რეზაი (საფ) 6:3, 6:1; **სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-მარია კამერინი (იტა) 7:5, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 10)**-სარა ერანი (იტა) 6:4, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ, 12)**-იოანა ოლარუ (რუმ) 6:4, 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 14)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:3, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 15)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:2, 6:1; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 19)**-მეგან შონესი (აშშ) 6:4, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 20)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:3, 6:3; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 21)**-ელენი დანიილიდუ (საბ) 6:4, 6:7 (4), 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 27)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:4, 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-აი სუგიამა (იაპ, 28) 6:4, 4:6, 6:2; **აშა როული (აშშ)**-კარინ კნაპი (იტა) 3:6, 6:4, 6:3; **ვერა დუშევინა (რუს)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:4, 6:3; **ალიზე კორნე (საფ)**-კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) 6:2, 6:1.



თეიმურაზ გაბაშვილი


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**